პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 59 (20705) ოთხშაბათი, 14 მარტი, 1990 წელი. ფასი 3 კაპ.

სახელმწიფო ხელისუფლების ეფექტიანობისათვის

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე, მესამე ყრილობა

12 მარტს კრემლში მუშაობას განაგრძობდა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე მესამე ყრილობა.

მოხსენების გამო კამათის დაწყების წინ დეპუტატმა **ნ. ა. დმიტრიევმა** შეიტანა წინადადება გაუხანგრძლივებლად იქნეს დაყენებული კენჭის საყრელად პრეზიდიუმის საკითხი: საჭიროა თუ არა პრეზიდენტობის შემოღება საერთოდ, და თუ საჭიროა, მაშინ როდის და სახელდობრ როგორ უნდა ავირჩიოთ სსრ კავშირის პრეზიდენტი. ყრილობა ასეთ მიდგომას ბოლოს და ბოლოს არ დეთანხმა.

ჩვენ ახლა ისეთ სიტუაციაში ვართ, როდესაც ქვეყანაში ხელისუფლება დამბლადაცემულია. ასეთი კონსტატაციით დაიწყო თავისი გამოსვლა დეპუტატმა **ს. ს. ალექსეევმა**, რომელმაც კამათი გახსნა. ხელისუფლება ნამდვილად ვერ ფუნქციონირებს, არსებითად იგი ქმედუუნაროა. ერთი ადგილის ტკეპნის შედეგად მოსდევს სტიქიური ელემენტების მოზღვავება, რაც განუჭვრეტელ შედეგებს გვიქადის.

შემდეგ, შეეხო რა პრეზიდენტობის საკითხის არსს, სსრ კავშირის საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარემ ამ თემაში გამოჰყო მთელი რიგი შომენტები. ჩვენ დღემდე ვეჰდაგებდით სახელმწიფოს ტოტალიტარულ წარმოდგენას, აღნიშნა მან. უნდა შეიცვალოს თვით სახელმწიფოს ხედვა, წარმოისახოს იგი საერთო თვალსაზრისით. სახელმწიფო — ეს არის კანონიერების, სიმშვიდის, თავისუფლების, იმედიანობის, დამიანის უფლებათა დაცვის გარანტია.

გამოსვლის მეორე თეზისი შეეხო ლოზუნგს „მთელი ძალაუფლება — საბჭოებს!". ჩვენ ინტერპრეტაცია ვუყავით იგი ისეთი კოლეგიური ორგანოს შექმნით, როგორიც არის უზენაესი საბჭო, მაგრამ განა არ ვლინდება დღეს დიდი მინუსები პარლამენტის მუშაობაში? უპასუხა რა ამ კითხვას, ორატორმა განაცხადა, რომ წმინდა პარლამენტურ სტრუქტურას შეუძლია ზოგჯერ ჩიხში მოგვაქციოს, მან შეიძლება გადაუკეტოს გზა ნებისმიერ გადაწყვეტილებას, და იგი, რაოდენ პარადოქსულადაც უნდა გვეჩვენოს, ყველაზე მეტად ესაჭიროება დიქტატურას.

მეცნიერების მონაცემების საფუძველზე იურისტი ამტკიცებდა, რომ მხოლოდ ორგანიზებული სტრუქტურირებული სახელმწიფო ხელისუფლება იძენს საკუთარ ძალას. მხოლოდ მას შეუძლია აგვაცილოს თავიდან მეტისმეტი ცენტრალიზაცია, როდესაც მისი მთავარი ქვეგანყოფები — სასამართლო, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებანი — ურთიერთშეწონასწორებულია.

ორატორმა საჭიროდ ცნო დაუყოვნებლივ გადაწყდეს პრეზიდენტობის საკითხი. და ხაზი გაუსვა, რომ იგი დაკავშირებულია ჩვენს პოლიტიკურ სისტემაში დიდი ხნის მობმეფებულ თვალსაჩინო ცვლილებებთან. მან მოუწოდა დეპუტატებს აგრეთვე არ გაეპანურონ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მზადება.

დეპუტატმა **ვ. ო. უტკინმა**, რომელიც მრავალი წელია მუშაობს კოსმოსური რაკეტების კომპლექსებზე, დამსწრეთ გაუზიარა ზოგიერთი ანალოგია დღევანდელი ვითარებისა, რომელიც ყველასაგან მოითხოვს დაკვირვებას და პასუხისმგებლობას. ფიზიკოსი და მექანიკის კანონთა მიხედვით, თქვა მან, საჭირო სიჩქარის მისაღწევად რაკეტას სცილდება გამონამუშავარი საფეხურები და შემსუბუქებული რაკეტა უფრო სწრაფად მიიწევს წინ. ეს ხდება ზუსტი გაანგარიშების მეოხებით, და თუ უკუაგდებ იმას, რაც უკუსაგდებია, მაშინ აღწევ დასახულ მიზანს. ახლა, განაგრძო ორატორმა, გარდაქმნის პერიოდში ჩვენ უკუვაგდებთ ბევრ რასმეს იქიდან, რაც მუხრუჭად გაგვიხდა ცხოვრებაში, იმ იმედით, რომ საჭირო აჩქარებას მივიღებთ, მაგრამ ამასთან ხშირად მოგვდის ძალზე სერიოზული შეცდომები.

ამ დარბაზში, რომელიც შორს არის გამოსაცდელი პოლიგონებისაგან, დასძინა ორატორმა, ძნელია გაიცნობიერო მთელი სიღრმე პასუხისმგებლობისა გადაწყვეტილებებისათვის, რომლებსაც ზოგჯერ უაღრესი ემოციური გადატვირთვის პირობებში ვიღებთ ხოლმე. მისი აზრით, მთელი რიგი მისაღები კარდინალური გადაწყვეტილებების არასაკმარისმა წინასწარმა გაანგარიშებებმა გამოიწვია ის, რომ ვერ მივაღწიეთ საზოგადოების წინსვლის შესაფერ დაჩქარებას.

ორატორმა გამოთქვა იმედი, რომ ყრილობა მიიღებს გადაწყვეტილებას ავირჩიოთ პრეზიდენტი. ეს საშური საქმეა და დაყოვნებას არ ითმენს.

სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტის დაწესების გამო გაჩაღებულმა კამათმა, დეპუტატ **ნ. ა. ნაზარბაევის** აზრით, სრულიად აშკარად განსაზღვრა ამის თაობაზე არსებული აზრების წყალგამყოფი. ბოლოს და ბოლოს, თქვა მან, დაძონძილ ადგილებზე საკერებლების დადება პრეზიდენტობაც შეიძლებოდა, ზუსტად ისევე, როგორც პრეზიდენტობის პირობებში გაგვეჭირდებოდა საარსებო ამოცანების გადაწყვეტისათვის თავის გართმეცა.

ჩვენ, თქვა ორატორმა, მუშაობაში უნდა შევიტანოთ ხელისუფლების ახალი მექანიზმი არა მარტო იმიტომ, რომ დავძლიოთ პირადი და საყოველთაო-სახალხო უმიშროების მწვავედ დამდგარი პრობლემა, აღმოვფხვრათ წამოჭრილი სოციალური დაძაბულობის კერები, თუმცა თავისთავად ესეც უაღრესად საჭიროა. ასკეც უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს მისს, რომ მართველობა-გამგეობის პრეზიდენტული ფორმის მიღმა ვხედავდეთ ქვეყნის მომავლის იერსახეს, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების გონივრული თანაფარდობის ნიშნებს, საზოგადოების სამართლიანი, ჰუმანური, დემოკრატიული წყობილების კონტურებს.

ყაზახეთის სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ გამოთქვა რწმენა, რომ პრეზიდენტის ხელისუფლება შეიძლება გახდეს თავისებური გარანტი, რამეთუ მის საფუძველში მოქცეულია მარეგულირებელი საწყისები, რომლებსაც შეუძლიათ ჰარმონიული მთლიანობა მიანიჭონ სახელმწიფო ხელისუფლების ყველა სახეობას. რაც შეეხება ამ პოსტზე კონკრეტულ კანდიდატურას, ჩვენ, განაცხადა მან, მხარს ვუჭერთ მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვს, რომლის ავტორიტეტი და პოლიტიკური ლიდერობა ეჭვს არ იწვევს.

შემდეგ ორატორი შეეხო ყრილობის განსახილველად წარმოდგენილი სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტის დაწესების კანონის ზოგიერთ მომენტს, რომლებიც მას სადავოდ მიაჩნია. მან წინადადება წამოაყენა შემოიღონ პრეზიდენტის ხელისუფლება ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში. მისი აზრით, კანონმა უფრო მკაფიოდ უნდა დაუხუტოს პრეზიდენტის საბჭოსა და ფედერაციის საბჭოს ფუნქციები.

რიგგარეშე ყრილობის მუშაობა, ხაზგასმით აღნიშნა დეპუტატმა **რ. უ. საფიულინმა**, რთულ დროს მიმდინარეობს. გარდაქმნამ კრიზისულად წარმოაჩინა რეალური სახელმწიფო აპარატი, მისი ცალკეული რგოლებისა და თანამდებობის პირების უკომპეტენტობა და თვით უნებისყოფობა. მმართველთა უზარმაზარი არმია, უამრავი სხვადასხვაგვარი საუწყებო ინსტრუქციები და განკარგულებანი, ხშირად რომ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, ვერ გახდა იმის გარანტია, რომ რაოდენობა ხარისხად ქცეულიყო. და მმართველობის მეცნიერება აუთვისებელი დაგვრჩა.

დეპუტატის აზრით კითხები, რომლებსაც ყრილობა განიხილავს, ფრიად რთულია. მათი მნიშვნელობა არ ამოიწურება მარტოოდენ გარდაქმნის პოლიტიკურ-სამართლებრივი ლექსიკონის გაფართოებით ჩვენი ენისათვის ისეთი ახალი ტერმინების ხარჯზე, როგორიც არის პრეზიდენტი, ფედერაციის საბჭო, პრეზიდენტის საბჭო და ა. შ. საქმე ეხება ხელისუფლების ინტეგრაციას, კანონისა და დემოკრატიის სუფევას არა სიტყვით, არამედ საქმით. პრეზიდენტის პოსტის შემოღება

(დასასრული მე-4 გვ.).

სსრ კავშირის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებათა და დამატებათა შეტანისა და სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტის დაწესების შესახებ

ა. ი. ლუკიანოვის მოხსენება სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე, მესამე ყრილობაზე

ამხანაგო დეპუტატებო!

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე, მესამე ყრილობის განსახილველად შემოგვაქვს პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების შემდგომი წინწაწევის, სახელმწიფო საქმეთა მმართველობის სისტემის განმტკიცების, სოციალისტური დემოკრატიის გარდამავების უფიმედებელი საკითხები. ყრილობის მიერ ამ საკითხების გადაწყვეტა მოასწავებს, რომ საბჭოთა კონსტიტუციური წყობილების განვითარებაში, სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნაში ძალას მოიკრებს ფუნდამენტური მნიშვნელობის ცვლილებები.

რით არის გამოწვეული ყრილობის ესოდენ სასწრაფო მოწვევა? ქვეყანაში დაწყებული დემოკრატიული გარდაქმნების გაძლიერების საჭიროებით თუ რაღაც კონიუნქტურული მოსაზრებებით? გვსურს რეაგირება მოვახდინოთ ჩვენს წინაშე დამდგარ პრობლემებზე თუ ვესწრაფვით როგორმე მოვეგოთ საერთოდ მიღებული მსოფლიო პრაქტიკის სტანდარტებს? თვით გარდაქმნის ლოგიკით თუ იმ სიტუაციის სირთულით, რომელშიც დღეს არის ქვეყანა? ამ კითხვებს შინდა ვუპასუხო ასე: ყველა ეს მომენტი, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა არ გაეთვალისწინებინათ უზენაეს საბჭოს, ქვეყნის ხელმძღვანელობას, მაგრამ ყველაზე მეტად დასახულ გარდაქმნებთან მიგვიყვანა თვით საზოგადოების განვითარების ობიექტურმა მსვლელობამ. იგი უწონასწორად ნაკარნახევია განახლების პროცესების შინაგანი ბუნებით, ჩვენი ახალი პოლიტიკური ინსტიტუტების ფუნქციონირების შეძენილი, თუნდაც ჯერ კიდევ მცირე გამოცდილებით.

მართლაც ასეა. სწორედ რეფორმების მიმდინარეობამ მიგვიყვანა ექამდე, რომ საჭირო გახდა საბჭოების, როგორც ხალხის სრულუფლებიანი ორგანოების როლის რადიკალური გაძლიერება. და ამასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობის ფუნქციებისა და მეთოდების, საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში მისი ადგილის შეცვლა.

სწორედ რეფორმების მიმდინარეობამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა უფრო სრულად და მკაფიოდ აისახოს კონსტიტუციასა და კანონმდებლობაში საკუთრების ფორმების მთელი მრავალფეროვნება, უზრუნველყოფილი იყოს მათი განვითარების თანაბარი პირობები, მათი მხარდაჭერა და დაცვა.

სწორედ რეფორმების მიმდინარეობამ, არაერთმნიშვნელოვანმა პროცესებმა, რომლებსაც წააწყდა საზოგადოება, როცა გაღრმავდა დაწყებული გარდაქმნები, მათ შორის შეფერხებებმა სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მიერ დასახულ უდიდეს ღონისძიებათა რეალიზაციაში, მიგვიყვანა იქამდე, რომ საჭირო გახდა განგვემტკიცებინა კანონებისა და სხვა სახელმწიფო გადაწყვეტილებების შესრულების მექანიზმი ქვეყნის პრეზიდენტის პოსტის დაწესების გზით.

ამრიგად, საქმე ეხება იმას, რომ უნდა დაჩქარდეს გარდაქმნის პროცესები პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ, ეროვნებათშორის და სხვა ურთიერთობებში. საქმე ეხება იმას, რომ საჭიროა უფრო მკაფიოდ განისაზღვროს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების სტრუქტურები და ფუნქციები, საბოლოო ანგარიშით, საქმე ეხება იმას, თუ რამდენად ეფექტიანად შევძლებთ უზრუნველყოთ საზოგადოებრივი ორგანიზმის ყველა მხარის განახლების, ეკონომიკურ-ეკონომიკური სიტუაციის გამწვავების, დასახული რეფორმების მცირე შედეგიანობისა და შეფერხების, ეროვნებათშორის ნიადაგზე წარმოქმნილი მწვავე კონფლიქტების, მასობრივი უწესრიგობის, დაშნაშვეობის ზრდის გამო. სულ უფრო ხმამაღლა გაისმის მოთხოვნა იმის სასარგებლოდ, რომ განხორციელდეს გადამწყვეტი ღონისძიებანი ჯეროვანი სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის, მოქალაქეთა უშიშროების, ეკონომიკაში მდგომარეობის ნორმალიზაციის, გადაუდებელი სოციალური, ეკოლოგიური და სხვა პრობლემების გადაჭრის უზრუნველსაყოფად.

შექმნილი სიტუაციის სიღრმისეული მიზეზები უშუალოდ არის დაკავშირებული ახლანდელი ისტორიული მომენტის ხასიათთან, როცა იმლება ყოფილი მბრძანებლური-ადმინისტრაციული წესები და მათი შესაბამისი პოლიტიკური სტრუქტურები, ხოლო დროის მოთხოვნების შესაბამისი ახალი სტრუქტურები ახლა მხოლოდ ყალიბდება. წინააღმდეგობას კი, პირდაპირ ვთქვათ, მათ ჯერ კიდევ საკმაოდ უწევენ.

ამაში მოულოდნელი არაფერია. და საქმე აქ მარტო გარდამავალი პერიოდის სიძნელეები როდია. საქმე უწინარესად ის გახლავთ, რომ ათწლეულების მანძილზე ქვეყანაში მთელი რეალური ძალაუფლება — პოლიტიკური, ეკონომიკური, სულიერი — თავმოყრილი იყო პარტიის, მისი ყველა დონის კომიტეტების ხელში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ასეთი მდგომარეობა დამკვიდრებული იყო პოლიტიკურ სტრუქტურებში, ხელმძღვანელობისა და ყველა დონის აპარატის ფსიქოლოგიაში, საზოგადოებრივ შეგნებაში. ასეთი წარმოდგენების, ჩვეულებისა და ტრადიციების დათმობას სჭირდება დროც, დიდი ძალისხმევაც, ახალი კადრებიც. ეს გასაგებია. მაგრამ ყველა დაწესებულება, კანონები, პროცედურები, რომლებიც ერთობლივად სამართლებრივი სახელმწიფოს ლერძს შეადგენენ, საეჭვოა შეიქმნას მოკლე პერიოდში. ეს ხანგრძლივი პროცესია, რომელსაც სჭირდება არა მარტო დაძაბული საკანონმდებლო შუშაობა, არამედ საზოგადოების პოლიტიკური კულტურის განვითარებაც, მით უმეტეს, რომ ჩვენში ძლიერ გაიდგა ფესვი სამართლებრივმა ნიჰილიზმმა, პიროვნების უფლებების უგულებელყოფამ და ხელისუფლებისადმი უნდობლობამ. მნიშვნელოვანწილად სწორედ აქედან გამომდინარეობს ექსტრემიზმისა და ეროვნული ფანატიზმის აფეთქებანი, მთელი სოციალური ჯგუფების შეგნების დაქვემდებარება პრიმიტიული მანიპულირებისადმი, ანარქიის გამოვლინებანი, სოციალური და სხვა კონფლიქტების მოწესრიგების არაცივილიზებული, ძალადობრივი ფორმები. სწორედ ეს არის ის მადესტაბილიზებელი, აფეთქებასაშიში პროცესების, გადატვირთვის წყარო, რომლებიც მძიმე ტვირთად აწვება ადამიანთა ცხოვრებასა და ფსიქიკას. და ყველაფერი ეს მოითხოვს საზოგადოების საიმედო, მყარ და ქმედუნარიან მართვას.

სწორედ ამ რთული პრობლემების კომპლექსის დაუყოვნებლივ გადაჭრის საჭიროებით არის ნაკარნახევი ის წინადადებანი, რომლებიც დავალებული მაქვს მოვახსენო სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე ყრილობას.

მოდით, დავსვათ კითხვა: რა არის გარდაქმნის საშუალება და მიზანი? ვფიქრობ, პასუხი ყველას ერთი ექნება: ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან ერთად უწინარესად დემოკრატიის გაღრმავება. გენერალური გეზი აქ განსაზღვრულია. სახალხო დეპუტატთა საბჭოების, როგორც ხალხის თვითმმართველობის — საფუძვლის, მისი სრულფასოვანობისა და უეჭველებული ნების განმახორციელებელი ორგანოების, როლის გაძლიერება. ამიტომ, დადგა დრო ახლებურად განისაზღვროს კონსტიტუციაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ადგილი, ნოლო მეორე მხრივ, დაფიქსირდეს ძირითად კანონში ჩვენი საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში მოქმედი სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის მდგომარეობა.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ XIX საკავშირო კონფერენციაზე პარტიამ განაცხადა, რომ სრულ უარს ამბობს გასწიოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების მაგივრობა, უარყო ათწლეულების მანძილზე დამკვიდრებული პრაქტიკა, როცა პარტიული კომიტეტები კისრულობდნენ არადამახასიათებელ ადმინისტრაციულ-სამეურნეო ფუნქციებს. XXVIII ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის პროექტი, რომელიც საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის არის გამოტანილი, აღნიშნავს, რომ პარტია არ ჩემულობს ძალაუფლების მონოპოლიას და მზად არის პოლიტიკური დიალოგისათვის, თანამშრომლობისათვის ყველასთან, ვინც მხარს უჭერს ჩვენი საზოგადოების განახლებას. იგი სავსებით ითვალისწინებს იმას, თუ რამდენად რეალურია ქვეყანაში ახალი პოლიტიკური პარტიების, სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების გაჩენის შესაძლებლობა. სწორედ ამას ითვალისწინებენ შემოთავაზებული სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-6 და მე-7 მუხლების ცვლილებები, რომლებიც საკანონმდებლო ინიციატივის წესით პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ჩვენი ყრილობის განსახილველად შემოაქვს.

ამ წინადადებათა არსი ის არის, რომ ყველა პარტიულ, საზოგადოებრივ ორგანიზაციასა და მასობრივ მოძრაობას გარანტირებული უნდა ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობანი იმოქმედონ კონსტიტუციისა და საბჭოთა კანონების ფარგლებში, აქტიური მონაწილეობა მიიღონ სახალხო დეპუტატთა საბჭოებში არჩეული თავისი წარმომადგენლების მეშვეობით და სხვა ფორმებით სახელმწიფოს პოლიტიკის შემუშავებასა და სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში. ამასთან პროექტში ხაზგასმულია, რომ დაუშვებელია ისეთი პარტიების, სხვა ორგანიზაციებისა და მოძრაობების შექმნა, რომლებიც მიზნად ისახავენ საბჭოთა კონსტიტუციური წყობილებისა და სოციალისტური სახელმწიფოს მოლიანობის ძალადურ დამხობას, მისი უშიშროებისათვის ძირის გამოთხრას, აღვივებენ სოციალურ, ეროვნულ და რელიგიურ შუღლს.

ამრიგად, სსრ კავშირის ძირითადი კანონის ამ მუხლების ახალი რედაქცია პირდაპირ არის დაკავშირებული ჩვენს საზოგადოებაში დემოკრატიის შემდგომ განვითარებასთან, პოლიტიკური პლურალიზმის ჩამოყალიბებასთან, მმართველობის ყველა სფეროში ხალხის მასების მონაწილეობის გაფართოებასთან.

წინადადებაა კარდინალურად შეიცვალოთ აგრეთვე კონსტიტუციის მე-10, მე-11, მე-12 და მე-13 მუხლები, რომლებიც განსაზღვრავენ საბჭოთა ეკონომიკური სისტემის მთავარ ელემენტებს. ამ

(დასასრული მე-6 გვ.).

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დადგენილება „სსრ კავშირში საკუთრების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის სამოქმედოდ შემოღების შესახებ

სსრ კავშირის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. სამოქმედოდ იქნეს შემოღებული სსრ კავშირის კანონი „სსრ კავშირში საკუთრების შესახებ“ 1990 წლის 1 ივლისიდან.

2. ამიერიდან სანამ უზრუნველყოფილი არ იქნება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისობა სსრ კავშირის კანონთან „სსრ კავშირში საკუთრების შესახებ“, სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობის მოქმედი აქტები გამოიყენება, რადგან ისინი არ ეწინააღმდეგება ამ კანონს. ამასთან ამ კანონის სამოქმედოდ შემოღებამდე გამოცემული სსრ კავშირის მთავრობის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობათა გადაწყვეტილებანი იმ საკითხებზე, რომლებიც კანონის შესაბამისად შეიძლება რეგულირებული იყოს მხოლოდ საკანონმდებლო აქტებით, ამიერიდან მოქმედებენ შესაბამისი საკანონმდებლო აქტების მიღებამდე.

3. სსრ კავშირის კანონი „სსრ კავშირში საკუთრების შესახებ“ გამოიყენება მართლურთიერთობების მიმართ, რომლებიც წარმოიშობა კანონის სამოქმედოდ შემოღების შემდეგ, ესე იგი 1990 წლის 1 ივლისიდან.

1990 წლის 1 ივლისამდე წარმოშობილი მართლურთიერთობების მიმართ, სსრ კავშირის კანონი „სსრ კავშირში საკუთრების შესახებ“ გამოიყენება იმ უფლებებისა და მოვალეობების მიმართ, რომლებიც წარმოიშობა კანონის სამოქმედოდ შემოღების შემდეგ.

აღნიშნული კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის დებულებანი ვრცელდება მართლურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშობა როგორც 1990 წლის 1 ივლისამდე, ისე მას შემდეგ.

4. „სსრ კავშირში საკუთრების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის დებულებანი, რომლებიც ეხება სახელმწიფო საკუთრებას, საერთო-საკავშირო საკუთრებას, მოკავშირე რესპუბლიკების საკუთრებას და მასში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქების, ავტონომიური ოკრუგებისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ფორმირებების საკუთრებას შორის წარმოებს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესით იმ პრინციპების საფუძველზე, რომლებიც გათვალისწინებულია ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით.

5. საქმეები, რომლებიც „სსრ კავშირში საკუთრების შესახებ“ სსრ კავშირის კანონით გადაეკვეთნება სასამართლოს და სახელმწიფო არბიტრაჟის საქვეუწყებობას და დამთავრებული არ არის წარმოებით ადმინისტრაციულ და სხვა ორგანოებში 1990 წლის 1 ივლისამდე, უნდა განიხილონ სასამართლოებმა და სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებმა დადგენილი საქვეუწყებობის შესაბამისად.

6. „სსრ კავშირში საკუთრების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის 32-34 მუხლებით გათვალისწინებული წესები საკუთრების უფლების დაცვის შესახებ ვრცელდება აგრეთვე მოთხოვნებზეც, რომლებიც წარმოიშობა კანონის სამოქმედოდ შემოღებამდე.

კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საკუთრების უფლების შემწყვეტი საკანონმდებლო აქტის მიღებით მესაკუთრისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების უფლება გამოიყენება კანონის სამოქმედოდ შემოღების შემდეგ მიღებული აქტების მიმართ.

7. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაავალოს:

1990 წელს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს განსახილველად შეიტანოს პროექტები:

სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტებისა, რომლებიც არეგულირებენ ურთიერთობას გამოგონებებისა და აღმოჩენების, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების და ინტელექტუალური საკუთრების სხვა ობიექტების შექმნისა და გამოყენების დარგში;

საკანონმდებლო აქტისა, რომელიც განსაზღვრავს ქონების სახეობებს, რომელიც სახელმწიფო და საზოგადოებრივი უშიშროების მოსაზრებებით ანდა სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად არ შეიძლება იყოს მოქალაქეთა საკუთრებაში;

სააქციო საზოგადოებების, სხვა სამეურნეო საზოგადოებებისა და ამხანაგობების შესახებ საკანონმდებლო აქტებისა;

1990 წლის 1 ივლისამდე წარუდგინოს სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს წინადადებანი სახელმწიფო ორგანოს შექმნის შესახებ, რომელიც უფლებამოსილია განაგოს საერთო-საკავშირო საკუთრებაში არსებული ქონება;

1990 წლის 1 ივლისამდე შეუსაბამოს სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებანი „სსრ კავშირში საკუთრების შესახებ“ სსრ კავშირის კანონს;

1990 წლის 1 ივლისამდე უზრუნველყოს სსრ კავშირის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების მიერ თავიანთი ნორმატიული აქტების, მათ შორის იმ ინსტრუქციების გადასინჯვა და გაუქმება, რომლებიც ეწინააღმდეგება აღნიშნულ კანონს;

1990 წლის 1 ივლისამდე სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს წარუდგინოს წინადადებანი „სსრ კავშირში საკუთრების შესახებ“ სსრ კავშირის კანონთან სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების შესაბამისობის უზრუნველყოფის შესახებ.

8. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესმა საბჭოებმა უზრუნველყონ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისობა ამ კანონთან.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
მ. გორბაჩოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1990 წლის 6 მარტი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი სსრ კავშირში საკუთრების შესახებ

ქარი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საკუთრების უფლება

1. სსრ კავშირში საკუთრების უფლებას აღიარებს და იცავს კანონი.

2. მესაკუთრე თავისი შეხედულებისამებრ ფლობს, სარგებლობს და განკარგავს თავის კუთვნილ ქონებას.

მესაკუთრეს უფლება აქვს თავისი ქონების მიმართ მოახდინოს ყოველი მოქმედება, რომელიც კანონს არ ეწინააღმდეგება. მას შეუძლია გამოიყენოს ქონება ყოველი სამეურნეო ან სხვა საქმიანობის განხორციელებისათვის, რომელიც კანონით არ არის აკრძალული.

3. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, პირობებითა და ფარგლებში მესაკუთრეს შეიძლება დაეკისროს მოვალეობა დაუშვას თავისი ქონების სხვა პირთა მიერ შეზღუდული გამოყენება.

4. მესაკუთრეს უფლება აქვს სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული პირობებით და ფარგლებში დაუდოს მოქალაქეებს ხელშეკრულებანი მათი შრომის გამოყენების შესახებ თავისი საკუთრების უფლების განხორციელების დროს.

მიუხედავად საკუთრების ფორმისა, რომლის საფუძველზე გამოიყენება მოქალაქის შრომა, იგი უზრუნველყოფილია შრომის ანაზღაურებითა და პირობებით, აგრეთვე მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სოციალურ-ეკონომიკური გარანტიებით.

5. საკუთრების უფლების განხორციელება ზიანს არ უნდა აყენებდეს გარემოს, არ უნდა აზღვევდეს მოქალაქეთა, საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და სახელმწიფოს უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს.

6. საკუთრების ყოველი ფორმის გამოყენება უნდა გამორიცხავდეს მუშაკის გაუცხოებას წარმოების საშუალებებისაგან და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციას.

მუხლი 2. სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების საკუთრების კანონმდებლობა

1. ამ კანონით სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად დგინდება ძირითადი დებულებანი საკუთრების შესახებ, რომლებიც სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე მოქმედებენ.

2. ამ კანონით გაუთვალისწინებელ საკუთრებითს ურთიერთობას აწესრიგებს მის შესაბამისად გამოცემული სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების საკანონმდებლო აქტები.

3. ისტორიისა და კულტურის ძეგლთა საკუთრების უფლების განხორციელების თავისებურებებს განსაზღვრავს სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სპეციალური კანონმდებლობა.

4. გამოგონებების, აღმოჩენების, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების ნაწარმოებებისა და ინტელექტუალური საკუთრების სხვა ობიექტების შექმნისა და გამოყენების ურთიერთობას აწესრიგებს სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სპეციალური კანონმდებლობა.

მუხლი 3. საკუთრების უფლების ობიექტები

1. საკუთრებაში შეიძლება იყოს მიწა, მისი წიაღი, წყლები, მცენარეთა და ცხოველთა სამყარო, შენობები, ნაგებობები, მოწყობილობა, მატერიალური და სულიერი კულტურის საგნები, ფული, ფასიანი ქაღალდები და სხვა ქონება.

ქონების სამეურნეო გამოყენების შედეგები (პროდუქცია და შემოსავალი) თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული კანონით ან ხელშეკრულებით, ეკუთვნის ამ ქონების მესაკუთრეს.

მუხლი 4. საკუთრების უფლების სუბიექტები. საკუთრების ფორმები

1. საკუთრება სსრ კავშირში გვევლინება საბჭოთა მოქალაქეების საკუთრების, კოლექტიური და სახელმწიფო საკუთრების ფორმით.

სსრ კავშირში შეიძლება არსებობდეს უცხოეთის სახელმწიფოთა, საერთაშორისო ორგანიზაციათა, უცხოელ იურიდიულ პირთა და მოქალაქეთა საკუთრება.

2. დაშვებულია მოქალაქეების, იურიდიული პირებისა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების გაერთიანება და ამ საფუძველზე საკუთრების შერეული ფორმების, მათ შორის საბჭოთა იურიდიული პირებისა და უცხოელი იურიდიული პირებისა და მოქალაქეების მონაწილეობით ერთობლივ საწარმოთა საკუთრების შექმნა.

3. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება დადგინდეს სხვა, ამ კანონით გაუთვალისწინებელი საკუთრების ფორმები.

4. ქონება შეიძლება ეკუთვნოდეს საერთო (ნაწილობრივი ან ერთობლივი) საკუთრების უფლებით ერთდროულად რამდენიმე პირს, საკუთრების ფორმის მიუხედავად.

5. სახელმწიფო ქმნის საკუთრების მრავალფეროვანი ფორმების განვითარებისათვის საჭირო პირობებს და უზრუნველყოფს მათ დაცვას.

მუხლი 5. სახლდელის მიქცევა მესაკუთრის ქონებაზე

1. იურიდიული პირის ვალდებულებები სახლდეი შეიძლება მიქცეულ იქნეს ყოველ ქონებაზე, რომელიც მას ეკუთვნის საკუთრებისა თუ სრული სამეურნეო გამგებლობის, აგრეთვე ოპერატიული მმართველობის უფლებით, ამ კანონის 26-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა.

მესაკუთრე არ აგებს პასუხს მის მიერ შექმნილი იურიდიული პირების ვალდებულებებზე; ისინი კი არ აგებენ პასუხს მესაკუთრის ვალდებულებებზე, სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი

სსრ კავშირში საკუთრების შესახებ

(დასასრული)

ნონმდებლო აქტებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

2. მოქალაქენი პასუხს აგებენ თავიანთი ვალდებულებებისათვის ქონებით, რომელიც მათ ეკუთვნით საკუთრების უფლებით.

კარი II.

სსრ კავშირის მოქალაქეთა საკუთრება

მუხლი 6. ზოგადი დებულებანი მოქალაქეთა საკუთრების შესახებ

1. მოქალაქეთა საკუთრება იქმნება და მრავლდება საზოგადოებრივ წარმოებაში მონაწილეობის, საკუთარი მეურნეობის გაძღოლის შედეგად მიღებული მათი შრომითი შემოსავლის, საკრედიტო დაწესებულებებში, აქციებსა და სხვა ფასიან ქაღალდებში დაბანდებული სახსრებისაგან შემოსავლის, მემკვიდრეობით ქონების შეძენის ხარჯზე და კანონით დაშვებული სხვა საფუძვლებით.

2. მოქალაქეს ეკუთვნის განსაკუთრებული უფლება განკარგვდეს თავის ნაყოფიერი და შემოქმედებითი შრომის უნარს.

ამ უფლებას მოქალაქე ახორციელებს დამოუკიდებლად ან შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

3. მოქალაქეს უფლება აქვს მესაკუთრის თანხმობით ფულადი ან სხვა წვლილი შეიტანოს საწარმოს, სხვა სამეურნეო ორგანიზაციის, გლეხური ან სხვა იმ შრომითი მეურნეობის კონებაში, სადაც იგი შრომითი ხელშეკრულებით მუშაობს, და მონაწილეობდეს ასეთი საწარმოს (ორგანიზაციის) ან მეურნეობის მოგების (შემოსავლის) დანაწილებაში ამ წვლილის ოდენობის პროპორციულად.

4. გლეხური და პირადი დამხმარე მეურნეობის, მებაღეობის გაძღოლისათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და მმსახურებისათვის და კანონით გათვალისწინებული სხვა საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის მოქალაქეებს მიწა ეძლევათ სამისდღეშო სამკვიდრო მფლობელობაში.

5. მოქალაქეთა საკუთრების მემკვიდრეობის უფლებას აღიარებს და იცავს კანონი.

მუხლი 7. მოქალაქეთა საკუთრების უფლების ობიექტები

1. მოქალაქეთა საკუთრებაში შეიძლება იყოს საცხოვრებელი სახლები, აგარაკები, საბაღე სახლები, ნარგავები მიწის ნაკვეთზე, სატრანსპორტო საშუალებანი, ფულადი სახსრები, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები, საოჯახო მეურნეობის და პირადი მოხმარების საგნები, გლეხური და სხვა შრომითი მეურნეობის, პირადი დამხმარე მეურნეობის, მებაღეობის, მებოსტნეობის გაძღოლის, ინდივიდუალური და სხვა სამეურნეო საქმიანობისათვის საჭირო წარმოების საშუალებანი, წარმოებული პროდუქცია და მიღებული შემოსავალი, აგრეთვე სამომხმარებლო და საწარმოო დანიშნულების სხვა ქონება.

2. საბინაო, საბინაო-სამშენებლო, საგარაჯო, საგარაჟო ან სხვა კოოპერატივის წევრი, რომელმაც მთლიანად შეიტანა თავისი საპაიო შესატანი ბინიხათვის, აგარაკის, საგარაჟის, მისთვის სარგებლობაში მიცემული სხვა ნაგებობისა თუ სადგომისათვის, იძენს ამ ქონების საკუთრების უფლებას.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლში საცხოვრებელი სადგომის დამქირავებელსა და მისი ოჯახის წევრებს უფლება აქვთ გამოისყიდონ მესაკუთრისაგან შესაბამისი ბინა ან სახლი.

საკუთრებად აღნიშნული ქონების შეძენის შემდეგ მოქალაქეს უფლება აქვს განკარგოს იგი თავისი შეხედულებისამებრ — გაყიდოს, უანდერძოს და გაიჯაროს, მოახდინოს მათ მიმართ სხვა გარიგებანი, რომლებიც არ ეწინააღმდეგება კანონს.

3. სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების საკანონმდებლო აქტებით შეიძლება დადგინდეს იმ ქონების სახეობანი, რომელიც არ შეიძლება იყოს მოქალაქეთა საკუთრებაში. მოქალაქის მიერ თავისი შრომითი შემოსავლისა და დანაზოგის ხარჯზე და კანონით დაშვებული სხვა საფუძვლებით შეძენილი სხვა ქონების შედგენილობა და ღირებულება არ იზღუდება.

მუხლი 8. შრომითი მეურნეობის საკუთრება

1. ოჯახის წევრთა და სხვა იმ პირთა საკუთრებაში, რომლებიც ერთობლივად უძღვებიან შრომით მეურნეობას, შეიძლება იყოს სახელოსნო, სხვა მცირე საწარმო საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების სფეროსა და სამეურნეო საქმიანობის სხვა დარგებში, საცხოვრებელი სახლები და სამეურნეო ნაგებობანი, მანქანები, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, ნედლეული, მასალები და მეურნეობის დამოუკიდებელი გაძღოლისათვის საჭირო სხვა ქონება.

2. შრომითი მეურნეობის ქონება, მათ შორის წარმოებული პროდუქცია და მიღებული შემოსავალი ოჯახის წევრებს შორის, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ფორმირებების საკუთრება (კომუნალური საკუთრება). სახელმწიფო ქონების განკარგვასა და მართვას ხალხის (ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ფორმირების მოსახლეობის) სახელით ახორციელებენ სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოები და მათ მიერ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები.

სახელმწიფო ქონების მესაკუთრეთა შეთანხმებით იგი შეიძლება იყოს მათ საერთო საკუთრებაში.

2. ქონება, რომელიც შექმნილი ან შეძენილია სსრ კავშირის, მოკავშირე რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგის, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ფორმირების საბიუჯეტო ან სხვა სახსრების ან მათს გამგებლობაში შემავალი საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების სახსრების ხარჯზე, განეკუთვნება შესაბამისად საერთო-საკავშირო საკუთრებას, მოკავშირე რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგის საკუთრებას ან ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ფორმირების საკუთრებას.

3. სსრ კავშირი პასუხს არ აგებს მოკავშირე რესპუბლიკების, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ფორმირებების ვალდებულებებზე, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკები, ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ფორმირებები, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ფორმირებები პასუხს არ აგებენ სსრ კავშირის ვალდებულებებსა და ერთმანეთის ვალდებულებებზე.

კარი III.

კოლექტიური საკუთრება

მუხლი 10. ზოგადი დებულებანი კოლექტიური საკუთრების შესახებ

1. კოლექტიურ საკუთრებას განეკუთვნება საიჯარო საწარმოების, კოლექტიური საწარმოების, კოოპერატივების, სააქციო საზოგადოებების, სამეურნეო საზოგადოებებისა და ამხანაგობების, სამეურნეო ასოციაციების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სხვა იმ გაერთიანებების საკუთრება, რომლებიც იურიდიული პირები არიან.

2. კოლექტიური საკუთრების წარმოშობას და გამრავლებას უზრუნველყოფს სახელმწიფო საწარმოთა გაიჯარება, მშრომელთა კოლექტივებისათვის იმ შესაძლებლობის მიცემა, რომ მიღებული შემოსავალი გამოიყენონ სახელმწიფო ქონების გამოსასყიდად, სახელმწიფო საწარმოთა გარდაქმნა სააქციო საზოგადოებებად, მოქალაქეებისა და იურიდიული პირების ქონების ნებაყოფლობითი გაერთიანება კოოპერატივების, სააქციო საზოგადოებების, სხვა სამეურნეო საზოგადოებებისა და ამხანაგობების შესაქმნელად.

მუხლი 11. საიჯარო საწარმოს საკუთრება

საიჯარო საწარმოს საკუთრებაშია წარმოებული პროდუქცია, მიღებული შემოსავალი და ამ საწარმოს სახსრების ხარჯზე შეძენილი სხვა ქონება.

საიჯარო საწარმოს შრომითი კოლექტივის წევრთა მისი საქმეების მართვასა და მოგების (შემოსავლის) განაწილებაში მონაწილეობის წესსა და პირობებს განსაზღვრავს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების იჯარის კანონმდებლობა.

მუხლი 12. კოლექტიური საწარმოს საკუთრება

1. კოლექტიური საწარმოს საკუთრება წარმოიშობა შრომითი კოლექტივის საკუთრებად სახელმწიფო საწარმოს მთელი ქონების გარდაქმნის, დაიჯარებული ქონების გამოსყიდვის ან კანონით გათვალისწინებული სხვა ხერხებით ქონების შეძენის შემთხვევაში.

კოლექტიური საწარმოს ქონება, მათ შორის წარმოებული პროდუქცია და მიღებული შემოსავალი, მისი კოლექტივის საერთო კუთვნილებაა.

2. კოლექტიური საწარმოს ქონებაში განისაზღვრება მის მუშაკთა წვლილი. ასეთი წვლილის შედგენილობაში შედის თანხა მუშაკის წვლილისა იმ სახელმწიფო ან საიჯარო საწარმოს ქონებაში, რომლის საფუძველზე შეიქმნა კოლექტიური საწარმო, აგრეთვე მუშაკის წვლილი ამ საწარმოს ქონების მატებაში მისი შექმნის შემდეგ.

ქონების მატებაში მუშაკის წვლილის ოდენობა განისაზღვრება საწარმოს საქმიანობაში მისი შრომითი მონაწილეობის გათვალისწინებით.

კოლექტიური საწარმოს მუშაკის წვლილზე დაირიცხება და გაიცემა პროცენტები იმ ოდენობით, რომელსაც შრომითი კოლექტივი განსაზღვრავს საწარმოს სამეურნეო საქმიანობის შედეგების გათვალისწინებით.

3. სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების საკანონმდებლო აქტებით შეიძლება დადგინდეს იმ ქონების სახეობანი, რომელიც არ შეიძლება იყოს მოქალაქეთა საკუთრებაში. მოქალაქის მიერ თავისი შრომითი შემოსავლისა და დანაზოგის ხარჯზე და კანონით დაშვებული სხვა საფუძვლებით შეძენილი სხვა ქონების შედგენილობა და ღირებულება არ იზღუდება.

მუხლი 9. გლეხური და პირადი დამხმარე მეურნეობის საკუთრება

1. გლეხური მეურნეობას შეიძლება საკუთრებაში ჰქონდეს საცხოვრებელი სახლები, სამეურნეო ნაგებობანი, ნარგავები მიწის ნაკვეთზე, პროდუქტიული და მუშა პირუტყვი, ფრინველი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და ინვენტარი, სატრანსპორტო საშუალებანი და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დამოუკიდებელი გაძღოლისათვის, პროდუქციის გადამუშავებისა და რეალიზაციისათვის საჭირო სხვა ქონება.

წარმოებული პროდუქცია და მიღებული შემოსავალი გლეხური მეურნეობის საკუთრებაა და მას იგი იყენებს თავისი შეხედულებისამებრ.

2. გლეხური მეურნეობის ქონება ეკუთვნით მის წევრებს საერთო ერთობლივი საკუთრების უფლებით. თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებით.

3. ამ მუხლის წესები გამოიყენება აგრეთვე მოქალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობის მიმართ.

მუშაკს, რომელმაც შეწყვიტა შრომითი ურთიერთობა საწარმოსთან, აგრეთვე გარდაცვლილი მუშაკის შემკვიდრეებს უნდიან წვლილის ღირებულებას.

კოლექტიური საწარმოს ლიკვიდაციისას წვლილის ღირებულებას უხდიან მუშაკებს (მათ შემკვიდრეებს) ბიუჯეტთან, ბანკებთან და საწარმოს სხვა კრედიტორებთან ანგარიშსწორების შემდეგ დარჩენილი ქონებიდან.

მუხლი 13. კოოპერატივის საკუთრება

1. კოოპერატივის ქონება წარმოიშობა მის წევრთა ფულადი და სხვა ქონებრივი შენატანების, კოოპერატივის მიერ წარმოებული პროდუქციის, მისი რეალიზაციისა და კოოპერატივის წესდებით გათვალისწინებული სხვა საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლის ხარჯზე.

2. კოოპერატივის ლიკვიდაციისას ბიუჯეტთან, ბანკებთან და სხვა კრედიტორებთან ანგარიშსწორების შემდეგ დარჩენილი ქონება ნაწილდება კოოპერატივის წევრებს შორის.

მუხლი 14. სამეურნეო საზოგადოებისა და ამხანაგობის საკუთრება

1. იურიდიულ პირებად მოქმედი სამეურნეო საზოგადოებებისა და ამხანაგობების საკუთრება წარმოიშობა მონაწილეთა წვლილის, სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული და კანონით დაშვებული სხვა საფუძვლებით მათ მიერ შეძენილი ქონების ხარჯზე.

2. სამეურნეო საზოგადოებისა და ამხანაგობის მონაწილის წვლილის შედგენილობაში შეიძლება შედიოდეს ძირითადი და საბრუნავი ფონდები, ფულადი სახსრები და ფასიანი ქაღალდები, აგრეთვე ქონებით სარგებლობის უფლება.

3. სამეურნეო საზოგადოებისა და ამხანაგობის მონაწილეები შეიძლება იყვნენ საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, სახელმწიფო ორგანოები, აგრეთვე მოქალაქეები, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების საკანონმდებლო აქტებით.

მუხლი 15. სააქციო საზოგადოების საკუთრება

1. სააქციო საზოგადოება მესაკუთრეა ქონებისა, რომელიც შექმნილია აქციათა გაყიდვის ხარჯზე, აგრეთვე მიღებულია მისი სამეურნეო საქმიანობის შედეგად და შეძენილია მის მიერ კანონით დაშვებული სხვა საფუძვლებით.

2. აქციების მქონენი შეიძლება იყვნენ საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და სახელმწიფო ორგანოები.

აქციათა მქონენი შეიძლება იყვნენ. ამ საზოგადოების მუშაკები, აგრეთვე სხვა მოქალაქენი, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების საკანონმდებლო აქტებით ან საზოგადოების წესდებით.

3. სახელმწიფო საწარმო შრომითი კოლექტივისა და საამისოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით შეიძლება გარდაიქმნას სააქციო საზოგადოებად საწარმოს ქონების მთელი ღირებულების აქციათა გამოშვების გზით. აქციათა გაყიდვით მიღებული სახსრები სახელმწიფო საწარმოს ვალების დაფარვის შემდეგ შედის შესაბამის ბიუჯეტში.

მუხლი 16. სამეურნეო ასოციაციათა (გაერთიანებათა) საკუთრება

1. საწარმოთა და ორგანიზაციათა სამეურნეო ასოციაციას (მათ შორის კონცერნს, დარგობრივ, დარგთშორის და რეგიონალურ გაერთიანებას) აქვს იმ ქონების საკუთრების უფლება, რომელიც მას ნებაყოფლობით გადასცეს საწარმოებმა და ორგანიზაციებმა. აგრეთვე მიღებულია მისი სამეურნეო საქმიანობის შედეგად:

2. სამეურნეო ასოციაციის არა აქვს მასში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა ქონების საკუთრების უფლება.

3. სამეურნეო ასოციაციის საქმიანობის შეწყვეტის შემდეგ დარჩენილი ქონება ნაწილდება იმ საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის, რომლებიც მასში შედიოდნენ.

მუხლი 17. საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ფონდების საკუთრება

1. საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მათ შორის საქველმოქმედო და სხვა საზოგადოებრივ ფონდებს, საკუთრებაში შეიძლება ჰქონდეთ შენობები და ნაგებობანი, საბინაო ფონდი, მოწყობილობა, ინვენტარი კულტურულ-საგანმანათლებლო და გამაჯანსაღებელი დანიშნულების ქონება, ფულადი სახსრები, აქციები, სხვა ფასიანი ქაღალდები და ქონება, რომელიც საჭიროა მათი წესდებებით (დებულებებით) გათვალისწინებული საქმიანობის მატერიალური უზრუნველყოფისათვის. საზოგადოებრივი ორგანიზაციების (ფონდების) საკუთრებაში შეიძლება შედიოდეს აგრეთვე საწარმოები, რომლებიც იქმნება მათ წესდებებში (დებულებებში) აღნიშნული მიზნების შესაბამისად ამ ორგანიზაციების (ფონდების) სახსრების ხარჯზე.

2. საზოგადოებრივი ორგანიზაციის (ფონდის) ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება ხმარდება ამ ორგანიზაციის წესდებით (დებულებით) გათვალისწინებულ მიზნებს.

მუხლი 18. რელიგიურ ორგანიზაციათა საკუთრება

რელიგიურ ორგანიზაციათა საკუთრებაში შეიძლება შედიოდეს შენობები, კულტის საგნები, საწარმო, სოციალური და საქველმოქმედო დანიშნულების ობიექტები, ფულადი სახსრები და მათი საქმიანობის უზრუნველსაყოფად საჭირო სხვა ქონება.

რელიგიურ ორგანიზაციებს აქვთ იმ ქონების საკუთრების უფლება, რომელიც მათ შეიძინეს და შექმნეს საკუთარი სახსრების ხარჯზე, უწყალობეს მოქალაქეებმა, ორგანიზაციებმა, ან გადასცა სახელმწიფომ და შეიძინეს კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებით.

კარი IV.

სახელმწიფო საკუთრება

მუხლი 19. ზოგადი დებულებანი სახელმწიფო საკუთრების შესახებ

1. სახელმწიფო საკუთრებას განეკუთვნება საერთო-საკავშირო საკუთრება, მოკავშირე რესპუბლიკების საკუთრება, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქების, ავტონომიური ოკრუგების საკუთრება, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ფორმირებების საკუთრება (კომუნალური საკუთრება).

2. ქონების, მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების საკუთრებაში, ეროვნული ეკონომიკის, ეროვნული უსაფრთხოებისა და ადამიანთა ცხოვრებისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფის ინტერესებიდან გამომდინარე, ეკუთვნის ხალხთა ხელშეუვალი კუთვნილებაა.

3. ამ ქონებაზე, ბუნებრივ რესურსებზე, ეროვნული ეკონომიკის, ეროვნული უსაფრთხოებისა და ადამიანთა ცხოვრებისა და ჯანმრთელობის ინტერესებიდან გამომდინარე, ეკუთვნის ხალხთა ხელშეუვალი კუთვნილებაა.

4. ეროვნული ეკონომიკის, ეროვნული უსაფრთხოებისა და ადამიანთა ცხოვრებისა და ჯანმრთელობის ინტერესებიდან გამომდინარე, ეკუთვნის ხალხთა ხელშეუვალი კუთვნილებაა.

5. ეროვნული ეკონომიკის, ეროვნული უსაფრთხოებისა და ადამიანთა ცხოვრებისა და ჯანმრთელობის ინტერესებიდან გამომდინარე, ეკუთვნის ხალხთა ხელშეუვალი კუთვნილებაა.

მუხლი 20. მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების საკუთრება

1. მიწა და მისი წიაღი, წყლები, მცენარეთა და ცხოველთა სამყარო მოცემულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთა ხელშეუვალი კუთვნილებაა.

2. ეროვნული ეკონომიკის, ეროვნული უსაფრთხოებისა და ადამიანთა ცხოვრებისა და ჯანმრთელობის ინტერესებიდან გამომდინარე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. ი. ლუკიანოვის მოხსენებაზე

(დასასრული)

ახალ დებულებათა წყაროები გახდა ახლახან სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობის დავალების შესაბამისად მიღებული კანონი საკუთრების შესახებ და მიწის კანონმდებლობის საფუძვლები. მათი მთავარი მიზანია აღმოვფხვრათ წარიმების საშუალებებისაგან მუშაობა გაუცხობა, მაქსიმალურად დაინტერესებული ადამიანი, ეფექტიანი ფორმების მრავალფეროვნება, გამოვაცოცხლოთ ადამიანთა სამეურნეო ინიციატივა.

აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ წინა პლანზეა წამოწეული კონსტიტუციური დებულებები საბჭოთა მოქალაქეების საკუთრების შესახებ, მითითებები, რომ ამ საკუთრებაში შეიძლება შედიოდეს არა მარტო სამეურნეო, არამედ საწარმოო დანიშნულების ყოველი ქონება, ცალკეულ სახეობათა ქონების გარდა, რომელთა შეძენა მოქალაქეებისათვის არ შეიძლება; კონსტიტუციურ გარანტიას იძენენ გლეხური მეურნეობები, ამასთან მათთვის მიჩენილი მიწის ნაკვეთები ეკუთვნიან სამკვიდრო მფლობელობაში. ძირითად კანონში გათვალისწინებულია მეურნეობრიობის ისეთი ფორმები, როგორიცაა კოლექტიური და საოჯახო საწარმოები, კოოპერატივები, ამხანაგობები, მათ შორის ისინიც, რომლებიც შეიქმნება მოქალაქეთა ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძველზე. სახელმწიფო საკუთრების შემადგენლობაში ნავარაუდევია დამკვიდრდეს საერთო-საკავშირო საკუთრება, რესპუბლიკების საკუთრება, ადგილობრივი ფორმირებებისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების საკუთრება.

ამით იქმნება საჭირო ეკონომიური, იურიდიული და ორგანიზაციული პირობები სოციალისტური ბაზრის ჩამოყალიბებისათვის, რომელიც ვუკავშირებთ ჩვენი ეკონომიკის აღმავლობის იმედებს, ხალხისათვის დამამცირებელი დეფიციტების ლიკვიდაციას.

როგორც ჩანს, ჩვენმა ყრილობამ კონსტიტუციურად უნდა გაფორმოს ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე კარდინალური ცვლილებები. თავად ეს ცვლილებები — თუკი, რა თქმა უნდა, მათი განხორციელება გვსურს, — თავის მხრივ, მოითხოვს ახალ მიდგომას საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელობის ორგანიზაციისადმი, მმართველობის ისეთი მექანიზმის უზრუნველყოფას, რომელიც გაცილებით უფრო ეფექტიანად იმოქმედებს, ვიდრე ახლა არსებული.

სახელმწიფო ორგანოების ფუნქციათა არათანმიმდევრული გამიჯვნა, გაურკვევლობა კომპეტენციის განსაზღვრაში, მათ უფლებებსა და პასუხისმგებლობის დონეს შორის განსხვავება — ყოველივე ეს აკნინებს სახელმწიფო ხელისუფლების ქმედითობას, რომელიც ესოდენ საჭიროა თანამედროვე პირობებში. და უფრო მეტიც, ყველაზე ძლიერ ეს გავლენას ახდენს ცენტრალური ორგანოების მუშაობაზე.

პრაქტიკული თვალსაზრისით სწორედ ეს რგოლი აღმოჩნდა ახლა ყველაზე სუსტი. პოლიტიკური რეფორმის უახლოესი მიზნებიც ითვალისწინებენ თითქმის ყველაფერსა და თითქმის ერთბაშად — რესპუბლიკების რეალურ დამოუკიდებლობას, რეგიონების დამოუკიდებლობას, ადგილობრივი საბჭოების ახალ უფლებებს, საწარმოების თვისუფალ ინიციატივას, საზოგადოებრივ გაერთიანებათა დაკანონებულ საქმიანობას და ბევრ სხვა რამეს, გარდა — და ეს უნდა ხაზგასმით აღინიშნოს — ეფექტიანად და ოპერატიულად მოქმედი ცენტრისა.

არსებული საზღვარგარეთული და ჩვენი საკუთარი გამოცდილება ადასტურებს: ისევე, როგორც დემოკრატია წარმოუდგენელია პასუხისმგებლობის გარეშე, ისე თვითმმართველობაც, დეცენტრალიზაციაც ნამდვილად მაშინ შეისახამს ხორცს, გამოავლენს თავის პოზიტიურ პოტენციალს, თუ იქნება ძლიერი, თუკი საჭიროა — ოპერატიულად მოქმედი, მაინტეგრირებელი და მაკოორდინირებელი ცენტრალური ხელისუფლება. და აქ არ შეიძლება არ ვთესარგებლოთ ლენინის რჩევით იმის შესახებ, რომ „... როგორც კოლეგიურობა აუცილებელია ძირითადი საკითხების განსახილველად, ისევე აუცილებელია ერთპიროვნული პასუხისმგებლობა და ერთპიროვნული გამგებლობაც, რომ აღარ იქნეს გაჭიანურება, რომ შეუძლებელი იყოს პასუხისმგებლობის თავიდან აცილება“.

აღნიშნული გარემოებანი საშუალებას გვაძლევს კიდეც გამოვიტანოთ დასკვნა, რომ გადაუდებლად უნდა განვიხილოთ და მივიღოთ ხელისუფლებითი ურთიერთობის უფრო ზუსტი სისტემის შექმნის ზომები, რომელმაც უნდა იმოქმედოს პირობებში, როცა პარტია აღარ ასრულებს უშუალო სახელმწიფო და სამეურნეო მმართველობის ინსტრუმენტის როლს, თავად ეს მმართველობა კი პარტიული სტრუქტურებიდან გადადის სახელმწიფო მექანიზმის სტრუქტურაში.

ამასთან დაკავშირებით თქვენს განსახილველად გამოგვაქვს ქვეყნის კონსტიტუციაში ისეთი ცვლილებათა პროექტი, რომლებიც საკანონმდებლო წესით დაამკვიდრებენ სახელმწიფოს ერთპიროვნული მეთაურის — სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტს. ამასთან პრეზიდენტობის ინსტიტუტის შემოღება, როგორც საბჭოთა სახელმწიფოებრიობის სრულყოფის ორგანული ნაწილი პეროიდში, როცა გარდაქმნას დაუდგა თავისი ყველაზე მწვავე ფაზა, უნდა იყოს ქვეყანაში სტაბილურობის, კანონიერებისა და მართლწესრიგის, ხელისუფლების მთელი მექანიზმის ეფექტიანობის მტკიცე გარანტია.

ისეთი მასშტაბის სახელმწიფოში, როგორიც ჩვენი მრავალეროვანი და მრავალფეროვანი სახელმწიფოა, დემოკრატიზაციისა და დეცენტრალიზაციის გაღრმავების ვითარებაში განსაკუთრებით საჭიროა საზოგადოების კონსოლიდაცია. ამას უწინარეს ყოვლისა უნდა უწყობდეს ხელს კიდეც სახელმწიფო ხელმძღვანელობის განაწილებადი მექანიზმი, რომლის მოქმედებაში დასინთეზებული, ერთი მთლიანი იქნება საშინაო და საგარეო პოლიტიკა, სტრატეგიული მიზანდასახულობანი და რეალური აუშაობა ამათ განხორციელებისათვის.

მთელი თავისი პრაქტიკული მუშაობით სსრ კავშირის პრეზიდენტმა უნდა შექმნას სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობებს შორის ურთიერთგაგებისა და სოციალური დიალოგის განვითარების პირობები, უზრუნველყოს სამოქალაქო მშვიდობა და ეროვნებათშორისი თანხმობა ქვეყანაში, აგრეთვე გვეკლინებოდეს როგორც უზენაესი უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანიზატორი და კოორდინატორი მოქმედებისა საგანგები გარემოებების — ომების, კონფლიქტების, სტიქიური უბედურებების, სოციალური სიმშვიდისა და საზოგადოებრივი წესრიგის სერიოზული დარღვევების დროს.

ამავე დროს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პრეზიდენტის პოსტის დაწესების დროსაც ჩვენში სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ რჩება სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა, საკანონმდებლო ორგანოდ — სსრ კავშირის უზენაესი საბჭო, აღმასრულებელ-განმკარგულებელ ორგანოდ — მთავრობა. პრეზიდენტი კი ხდება საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის დამაკავშირებელი მტკიცე რგოლი. ამის შედეგად ერთიანი საბჭოთა სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციები უმაღლეს დონეზე იძენს ახალ ორგანიზაციულ დასაყრდენს, კანონებისა და წარმომადგენლობითი ორგანოების სხვა გადაწყვეტილებების რეალიზაციის დამატებით გარანტიას.

ჩვენს ქვეყანაში პრეზიდენტის ინსტიტუტს უნდა ჰქონდეს თანმიმდევრულად დემოკრატიული, საბჭოური ხასიათი და არა მარტო გამორიცხავდეს პირადი დიქტატურის დამყარების შესაძლებლობას, არამედ იყოს ჩვენი კონსტიტუციის დემოკრატიული საფუძვლების საიმედო დამცველი. ყრილობის განსახილველად გამოტანილი კანონის პროექტი ითვალისწინებს, რომ საბჭოთა სახელმწიფოს სჭირდება ავტორიტეტიანი საკანონმდებლო ორგანოებიც, ძლიერი პრეზიდენტიც, ენერგიული მთავრობაც და დამოუკიდებელი სასამართლოც.

ამასთან დაკავშირებით არ არის არავითარი საფუძველი იმ ეჭვებისათვის, რომლებსაც ზოგიერთები აღვივებენ, რომ პრეზიდენტის პოსტის დაწესებას, თითქოს, მოსდევდეს ავტორიტარული პირადი ძალაუფლების რეჟიმის დამყარება. უფრო მეტიც, წარმოდგენილი პროექტი შეიცავს გარანტიებს მთელ სისტემას ამგვარი ტენდენციების წინააღმდეგ. რაზეა ლაპარაკი?

ჯერ ერთი, შემოთავაზებულია დავადგინოთ, რომ პრეზიდენტს ირჩევენ სსრ კავშირის მოქალაქეთა საყოველთაო ფარული კენჭისყრით. ამასთან, ასარჩევად კანდიდატმა უნდა მიიღოს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტი, არა მარტო მთლიანად კავშირში, არამედ, როგორც მინიმუმი, მეტ წილ მოკავშირე რესპუბლიკებშიც. ჩვენი ფედერაციული სახელმწიფოსათვის, სადაც რესპუბლიკების მოსახლეობის რიცხვის დიდი განსხვავებანია, — ეს პრინციპული საკითხია. რაც შეეხება პირველი პრეზიდენტის არჩევნებს. მხედველობაშია მიღებული ალტერნატიულ საფუძველზე აირჩიოს იგი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობამ, ესე იგი ყველაზე წარმომადგენლობითმა დემოკრატიულმა ფორუმმა, რომელიც დღეს გვაქვს.

მეორე, კონსტიტუციაში შემოთავაზებულია დავადგინოთ, რომ ერთსა და იმავე პირს არ შეუძლია დაიკავოს პრეზიდენტის თანამდებობა ორ ვადაზე მეტ ხანს. შეზღუდულია პრეზიდენტის პოსტის კანდიდატების ზღვრული ასაკიც.

მესამე, პროექტი ზუსტად განსაზღვრავს, რომ პრეზიდენტი ექვემდებარება სახალხო დეპუტატთა ყრილობის კონტროლს, რომელსაც უფლება აქვს ვადამდე გამოიწვიოს პრეზიდენტი, თუ იგი დარღვევს სსრ კავშირის კონსტიტუციასა და კანონებს.

მეოთხე, პროექტი ითვალისწინებს, რომ პრეზიდენტის უფლებამოსილებას განსაზღვრავს კონსტიტუცია და კანონები, რომელთა მიღება, როგორც ცნობილია, შეუძლიათ მხოლოდ სახალხო დეპუტატთა ყრილობას და სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს. პრეზიდენტი კი მოვალეა იმოქმედოს კანონების საფუძველზე და მათი შესრულებისათვის.

და ბოლოს, მეხუთე, სახალხო დეპუტატთა ყრილობას უფლება ექნება გააუქმოს პრეზიდენტის ბრძანებულებანი, ხოლო სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტი მოვალეა განაბორიკელოს კონტროლი მათი კანონიერებისადმი.

ზოგჯერ გაიგონებთ აზრს, რომ პრეზიდენტის პოსტის დაწესება, თითქოსდა, ნიშნავდეს ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების როლის შებღალვას. ეს ასე არ არის. დავიწყოთ იმით, რომ კანონის პროექტი არ ითვალისწინებს პრეზიდენტისათვის იმ უფლებამოსილებების არავითარ გადაცემას, რომლებიც ამჟამად შედის ყრილობისა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს კომპეტენციაში. ყრილობას შეუძლია, ისევე როგორც წინათ, თავის განსახილველად მიიღოს და გადაწყვეტოს ყოველგვარი საკითხი, რომლებიც განეკუთვნება სსრ კავშირის გამგებლობას. უფრო მეტიც, პრეზიდენტის პოსტი უწინარეს ყოვლისა სწორედ იმისათვის წარდგება, რომ ყრილობისა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებანი უფრო აქტიურად ხორციელდებოდეს. ისედაც, პრეზიდენტის მთელი მუშაობა უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების თვალწინ და კონტროლით წარიმართება. მას ეკისრება მოვალეობა წარუდგინოს ყრილობას, თანაც ყოველწლიურად, მოხსენებანი ქვეყანაში მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე მიაწოდოს ინფორმაცია სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

პრეზიდენტის პოსტის დაწესების თაობაზე დისკუსიის დროს არაერთხელ დაისვა კითხვა: ხომ არ ეწინააღმდეგება ეს ნაბიჯი ჩვენი ფედერაციის განახლების ამოცანებს, მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტის განმტკიცებასა და საბჭოთა ავტონომიის გარანტიებს? ეს, როგორც მოგეხსენებათ, ძალზე რთული და ძალზე ძნელი პრობლემაა. მაგრამ აქაც პრეზიდენტის უფლებამოსილებამ უნდა შეასრულოს პოზიტიური, შემოქმედებითი როლი, უპირველეს ყოვლისა — რესპუბლიკების სუვერენიტეტის განმტკიცებაში, მათი ტერიტორიული მთლიანობისა და კონსტიტუციური უფლებების დაცვაში. როგორც ჩანს, სწორედ პრეზიდენტი იქნება საკავშირო ხელშეკრულების განახლების ინიციატორი და მისი დაცვის გარანტი. ამას ხაზი მინდა გავუსვა, ამხანაგებო. იგი ხდება არბიტერი ეროვნებათშორის დავაში, ხელს შეუწყობს კონფლიქტებისა და უთანხმოებების ოპერატიულ გადაჭრას, თანაც როგორც პოლიტიკური, ისე სამართლებრივი მეთოდებით.

მოკავშირე რესპუბლიკების თანამმედგომის განმტკიცების მიზნებს უნდა ემსახურებოდეს სსრ კავშირის პრეზიდენტთან ისეთი მნიშვნელოვანი ორგანოს შექმნა, როგორიც არის ფედერაციის საბჭო. ყოველი მოკავშირე რესპუბლიკა ამ საბჭოში წარმომდგენილი იქნება მისი უმაღლესი სახელმწიფო ხელმძღვანელით, ნავარაუდევია, რომ საბჭო მთელ თავის ძალისხმევას მოახმარს ჩვენი ფედერაციის განვითარების პრობლემათა განხილვას და საბჭოთა სახელმწიფოს ეროვნული პოლიტიკის განხორციელებას, საერთო-საკავშირო მნიშვნელობის საკითხთა გადაჭრაში რესპუბლიკების მონაწილეობის უზრუნველყოფას. შესაბამისი დაზუსტებანი შეტანილია სსრ კავშირის კონსტიტუციის 77-ე მუხლშიც, სადაც დადგენილია, რომ მოკავშირე რესპუბლიკა მონაწილეობას სსრ კავშირის გამგებლობას მიკუთვნებული შესაბამისი საკითხების გადაწყვეტაში, მათ შორის ფედერაციის საბჭოს მეშვეობითაც.

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიაზეც და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებშიც არაერთგზის გამოითქვა შიში: მიზანშეწონილია თუ არა სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტის დაფუძნება, სახამ მთლიანად არ განახლდება ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წყობილება? მაგრამ ეს ხომ ზოგადი საკითხია, რომელიც უნდა გადაჭრან როგორც ცენტრალურმა, ისე რესპუბლიკურმა ორგანოებმა. და საქმეა, საჭირო იყოს ასე დავუკავშიროთ იგი პრეზიდენტობის შემოღებას. იმით უნდა ვიხელმძღვანელოთ, რომ პრეზიდენტი, უეჭველად, შეასრულებს დიდმნიშვნელოვან როლს ქვეყნის ფედერაციული წყობილების ახალი საწყისების დაგეგმაში, ეს კი, როგორც შევთანხმდით კიდეც წინა ყრილობაზე, უმეიდროესად არის დაკავშირებული სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მომზადებასთან. ამასთანავე, სსრ კავშირის პრეზიდენტის ფუნქციებისა და უფლებამოსილების, პროექტის თანახმად, საერთო-საკავშირო ხასიათი აქვს და არ ბღალავს რომელიმე რესპუბლიკური ორგანოს პრეროგატივას. ზემოთქმულს შეიძლება მხოლოდ დავძინოთ, რომ მსოფლიო პრაქტიკაში ყოფილა მრავალი ფედერაცია, სადაც სახელმწიფოს მეთაურია სწორედ პრეზიდენტი, რომელიც გვევლინება მთლიანად ფედერაციის და მისი ყოველი ნაწილის უფლებათა დაცვის საყოველთაოდ აღიარებულ გარანტად.

ამბობენ, პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღებამ შეიძლება შეავიწროოსო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კომპეტენცია. აქაც იმედი უნდა გავუცქიროთ ამ თვალსაზრისის მომხრეებს, მთავრობის კომპეტენცია არსებითად უცვლელი რჩება. ალბათ, ერთადერთი ახალი მომენტია თავისი საქმიანობისათვის მისი პასუხისმგებლობის ზრდა. ამასთან დაკავშირებით გათვალისწინებულია, რომ მინისტრთა საბჭო არათუ ყოველწლიურად აბარებს ანგარიშს თავისი მუშაობის შესახებ სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს (ეს უკვე მოქმედი ნორმაა), არამედ რეგულარულად უნდა აწვდიდეს ინფორმაციას ამის თაობაზე პრეზიდენტს. ამავე დროს შემოთავაზებულია დავადგინოთ, რომ სსრ კავშირის მთავრობა, სამინისტროები და სახელმწიფო კომიტეტები მოვალენი არიან, სსრ კავშირის კანონებთან ერთად, თავიანთ საქმიანობაში იხელმძღვანელონ პრეზიდენტის ბრძანებულებებით, რომელიც იღებს უფლებას დანიშნოს მინისტრები, ბუნებრივია, შემდეგ წარადგინოს ისინი სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დასამტკიცებლად.

დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო ფუნქციები ეკისრება კიდევ ერთ ორგანოს, რომელიც ნავარაუდევია ჩამოყალიბდეს სსრ კავშირის პრეზიდენტთან. ეს არის პრეზიდენტის საბჭო. მისი მთავარი ამოცანაა შეიმუშაოს ღონისძიებანი სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა რეალიზაციისათვის, ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფისათვის. პრეზიდენტის საბჭოს წევრებს ნიშნავს პრეზიდენტი, ხოლო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მის შემადგენლობაში შევა თანამდებობით.

ამ გზით უზრუნველყოფილია პრეზიდენტის ფუნქციების მჭიდრო დაკავშირება აღმასრულებელ-განმკარგულებელ საქმიანობასთან, კონტროლი მისდამი სახელმწიფოს მეთაურის მხრივ. სწორედ აქ, პრეზიდენტის საბჭოში, განიხილავენ ალბათ, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის მიერ მოწონებული ეკონომიკური პროგრამის პრაქტიკული განხორციელების საკვანძო საკითხებს, განაზორციელებენ ღონისძიებებს, რათა ეს პროგრამა არ ბუქსაობდეს, რათა მტკიცედ დაძლიონ ყველა დონის კადრების პასუხისმგებლობის დეფიციტი. სწორედ პრეზიდენტის საბჭო გახდება ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ განსაზღვრული საგარეო-პოლიტიკური კურსის გატარების, სოციალისტურ მონაპოვართა სიმიედო დაცვის უზრუნველსაყოფად მთელი მუშაობის მთავარი ორგანიზატორი.

მინდა, ამხანაგო დეპუტატებო, შეგახსენოთ, რომ ჯერ კიდევ ხელისუფლების უმაღლესი რგოლის რეფორმის პირველ ეტაპზე საზოგადოებრივ წრეებში და სამეცნიერო ლიტერატურაში, პირიდიდან პრესაში გაცხოველებული დისკუსიები მიმდინარეობდა პრეზიდენტის პოსტის შემოღებისა და იმ უფლებამოსილებათა შესახებ, რომლებიც მას უნდა მიენიჭოს. და ახლა მრავალი დეპუტატი, პოლიტოლოგი, იურისტი, მხარს უჭერს რა ასეთ პოსტს, აყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირი არ უნდა ასრულებდეს ყოველდღიურ ფუნქციებს, რომლებიც უკავშირდება, ვთქვათ, სახალხო დეპუტატთა ყრილობებისა და სესიების მომზადების ხელმძღვანელობას, პარლამენტის თავმჯდომარეობას. ყველა ამ დისკუსიის მრავალი დებულება საფუძვლად დაედო თქვენს ხელთ არსებულ კანონის პროექტს, რომელსაც სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ჯგუფი ამზადებდა წამყვანი მეცნიერ-იურისტებისა და სხვა სპეციალისტების აქტიური მონაწილეობით. პროექტი ორჯერ განიხილა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა, მასზე ყოველმხრივ იმსჯელეს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პალატების მუდმივი კომისიებისა და კომიტეტების სხდომებზე. პრეზიდენტის პოსტის დაფუძნების შესახებ წინადადებას მხარი დაუჭირა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს წევრთა უმრავლესობამ, რომელმაც საფუძვლად მიიღო ახლა ყრილობისადმი წარმოდგენილი კანონის პროექტი. თავდაპირველ პროექტში შეტანილია დიდძალი შესწორებები და დამატებები, რომელთა მთავარი ინიციატორები უმეტესწილად გახდნენ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატები.

წარმოდგენილი პროექტის რომელი დებულებანი მინდა აქ განსაკუთრებით აღვნიშნო?

თქვენ, ალბათ, მიაქციეთ ყურადღება, რომ პრეზიდენტს ნავარაუდევია მიეძღვნას სსრ კავშირის კონსტიტუციის სპეციალური კარი. მასში განისაზღვრება პრეზიდენტის არჩევის წესი, მისი უფლებამოსილებანი და პასუხისმგებლობა, სხვა სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობა. ამ უფლებამოსილებათა ბირთვია ის, რომ სსრ კავშირის პრეზიდენტმა უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო ხელისუფლების და მმართველობის უმაღლესი ორგანოების მჭიდრო თანამოქმედება, ერთიან კალაპოტში გააერთიანოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელება. საბჭოთა პრეზიდენტის ასეთი მაკოორდინირებელი საქმიანობა გახდება მისი ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია, რაც საშუალებას მოგვცემს, ერთხელ კიდევ ვიმეორებ, მნიშვნელოვნად გავზარდოთ მთელი ჩვენი სახელმწიფო მექანიზმის მუშაობის ეფექტიანობა.

პრეზიდენტის უპირველეს ამოცანებს შორის არის საბჭოთა მოქალაქეების უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფა. იგი მოვალეა განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტის, ქვეყნის უშიშროებისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წყობილების პრინციპების რეალიზაციისათვის. პრეზიდენტი წარმოადგენს სსრ კავშირის მთავარი სახელმწიფო არბიტრის პოსტის კანდიდატურებს. სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს და ყრილობის მიერ ამ თანამდებობის პირთა მოვალეობებისაგან განთავისუფლებაც ნავარაუდევია განხორციელდეს პრეზიდენტის წარდგენით, მის უფლებამოსილებებს განეკუთვნება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს წინაშე მინისტრთა საბჭოს გადადგომის ანდა გადადგომაზე თანხმობის საკითხის დაყენება. პრეზიდენტს ეკისრება სახალხო დეპუტატთა ყრილობის წარუდგენოს წინადადებანი სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის პერსონალური შემადგენლობის შესახებ.

წამყვანი როლი განეკუთვნება საბჭოთა პრეზიდენტს ქვეყნის თავდაცვისა და უშიშროების დარგში. იგი თანამდებობით არის შეიარაღებული ძალების უზენაესი მთავარსარდალი; აცხადებს ომის მდგომარეობას საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემთხვევაში და დაუყოვნებლივ შეაქვს ეს საკითხი სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს განსახილველად; აცხადებს საერთო ან ნაწილობრივ მობილიზაციას; ნიშნავს და ცვლის არმიისა და ფლოტის უმაღლეს სარდლობას; ანიჭებს უმაღლეს მხედრულ წოდებებს; ნიშნავს სამხედრო ტრიბუნალების მოსამართლეებს. ნავარაუდევია პრეზიდენტს მიენიჭოს აგრეთვე მთელი რიგი სხვა უფლებამოსილებანი, რომლებიც ჩვეულებრივ ახასიათებს სახელმწიფოს ხელმძღვანელს. ეს არის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება, საკავშირო საპატიო წოდებათა მინიჭება, მოქალაქეობისა და შეწყალების საკითხების გადაწყვეტა.

ამრიგად, სსრ კავშირის პრეზიდენტს საკმაოდ ფართო უფლებანი ენიჭება. მაგრამ ამასთანავე იქმნება უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოებისა და კონსტიტუციური ორგანოების მოწყობილობა. ეს ნაბიჯი ჩვენ ბოლო ორ-სამ ყრილობაზე ერთ-ერთ ძირითადი ამოცანად ვსახავდით. ეს ნაბიჯი ერთ-ერთ ძირითადი ამოცანა

სახელმწიფო ხელისუფლების ეფექტიანობისათვის

(დასასრული)

სწორედ ახლა უბრალოდ აუცილებელია. აკი ყველან ოცრძნობა სტაბილურობისა და წესრიგის დეფიციტი, იზრდება სამართლებრივი ნიჰილიზმი. გარდაქმნის გაჭვითარება გვიყენებს ახალ და არანაკლებ რთულ პრობლემებს, რომელთა გადაჭრას შეგვაძლებინებს მხოლოდ ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლების არსებობა, დასძინა ორატორმა.

ჩვენ ვწყვეტთ სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლ ებ ის სტრუქტურის, ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ძნელ საკითხს, თქვა დეპუტატმა **ი. ნ. აფანასიევმა.** და ვწყვეტთ მას უმძიმეს ვითარებაში, რომელსაც, სამწუხაროდ, კიდევ უფრო მეტად ამძიმებს მრავალ ადამიანთა მსხვერპლი, მაგრამ ეს ამასთანავე არის საკითხი დავაკანონოთ გარკვეული ადამიანის — მ. ს. გორბაჩოვის საგანგებო ხელისუფლება. გვეძიება თუ არა ეს ჩვენ, სჭირდება თუ არა ეს. გარდაქმნას და თვით მის ინიციატორს? გარდა ამისა, საკითხის გადაწყვეტას ფორსირებული ხასიათი ენიჭება.

ორატორმა თქვა, რომ დეპუტატთა რეგიონთაშორისი ჯგუფის კრებაზე მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილებანი. მათი აზრი ის არის, რომ ჯგუფის წევრები უარყოფითად ეკიდებიან პრეზიდენტის პოსტის შემოღებას და გადაჭრით ილაშქრებენ ყრილობაზე პრეზიდენტის არჩევის წინააღმდეგ. პრეზიდენტობის საკითხი უნდა შეერწყას ახალი დემოკრატიული კონსტიტუციის ერთიან მთლიან ორგანულ კონტექსტს. უსაუოკონტექსტოდ პრეზიდენტობა გიზდება სამში იდუმალება, რომელიც კიდევ უფრო გაგვიღრმავებს სიძნელეებსა და გასაჭირს.

პრეზიდენტობის შემოღების პირობებს შორის ორატორმა დასახელა სუვერენულ სახელმწიფოთა ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება, სრულფასოვანი უზენაესი საბჭოს—როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების რეალური საპირწონის ჩამოყალიბება, პრეზიდენტის არჩევა პირდაპირი თანასწორი საყოველთაო კენჭისყრით, მრავალპარტიული არჩევნების მოწყობა, ანუ რეალურად ორგანიზებული ოპოზიციის შექმნა, ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების უზრუნველყოფა.

პრეზიდენტობის საკითხი, განაგრძო დეპუტატმა, წყვდება კრიზისულ პერიოდში, როდესაც ახლანდელი ხელმძღვანელობის პოლიტიკა მარცხს განიცდის. შემოთავაზებული ხერხი — ეს არის ძალის, საგანგებო მდგომარეობის იმედად ყოფნა. ბელადმა და დამაარსებელმა ჩვენ მემკვიდრეობად გვიარგუნა მასობრივი ძალადობისა და ტერორის, უკანონობის სახელმწიფო პოლიტიკად გამოცხადების პრინციპი. და დღეს გვთავაზობენ ტრადიციისამებრ განვაგრძოთ იგი.

დეპუტატ **ნ. ნ. დენენკოს** აზრით, სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტის დამკვიდრების კანონის განსახილველი პროექტი შეიძლება მივიჩნიოთ იმის გარანტიად, რომ აღმოიფხვრება ქვეყანაში წარმოშობილი თავისებური ხელისუფლების ვაკუუმი, რომელსაც დღეს ავსებენ ანარქიის, უკანონობისა და განუკითხაობის მიმდევარნი. მან მხარი დაუჭირა ქვეყანაში პრეზიდენტობის ინსტიტუტის შემოღებას და ამასთანავე გამოთქვა შენიშვნები პროექტის ცალკეული მუხლის გამო.

გამოსვლაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამა თუ იმ რეგიონში რთული და თუნდაც საგანგებო სიტუაციის წარმოშობისას საჭიროა გადაუდებელი და გადამწყვეტი ღონისძიებები, რომლებსაც დღესდღეობით ვერ იღებენ ვერც საკანონმდებლო და ვერც აღმასრულებელი ხელისუფლება. დეპუტატმა წინადადება წამოაყენა მიღებულ კანონი სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტის დაწესების შესახებ და შეიტანონ სათანადო ცვლილებები და დამატებები სსრ კავშირის კონსტიტუციაში.

პრეზიდენტის ხელისუფლების რაც შეიძლება მალე დამკვიდრებას დაუჭირა მხარი დეპუტატმა **ა. ს. ელისეევმა.** ამ გადაწყვეტილების სარგებლიანობას, მისი თქმით, მოწმობს ორი არგუმენტი: აღმასრულებელი ხელისუფლების გაძლიერების საჭიროება და ხალხის წინაშე ქვეყნის ხელმძღვანელის პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლება. ამასთან, ორატორმა წინადადება წამოაყენა პრეზიდენტის მართვა-გამგეობის საკითხზე რეზოლუციის ძიებამდე გადაწყვეტონ სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-6 და მე-7 მუხლების პრობლემა, რომელთა ახლანდელი სახით დატოვება, მისი აზრით, გვიქმნის ხელმძღვანელობის ავტორიტარული მოფლობისაკენ დაბრუნების მუდმივ საფრთხეს.

დაყოვნება აღარ შეიძლება, ხაზი გაუსვა ორატორმა, ჩვენ სწრაფად უნდა შევავსოთ ვაკუუმი, რომელიც თვალსა და ხელს შუა წარმოიშობა სახელმწიფო ამოცანების გადაწყვეტისაგან პარტიული ორგანოების განდგომის პირობებში. ჩვენ დღესვე სახელმწიფო მმართველობის თვით სტრუქტურის მეთხებით უნდა გამოვრიცხოთ წინანდელი რეჟიმის აღდგენის შესაძლებლობა.

ა. ს. ელისეევმა გამოთქვა მთელი რიგი შენიშვნები პრეზიდენტის პოსტის დაწესებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის კონსტიტუციაში ცვლილებათა პროექტის გამო.

გარდაქმნის კარგისმოსურნე წამოწყებებს ვერ ექნებათ წარმატების შანსი, თუ ისინი არ დაყრდნო მტკიცე სახელმწიფო სტრუქტურებს და ხელისუფლების ეფექტიან ინსტიტუტს. განავითარა რა ეს აზრი, დეპუტატმა **ვ. ი. ვოროტნიკოვმა** ლოგიკურად წარმოაჩინა დემოკრატიის განვითარების პირდაპირი კავშირი სახელმწიფო კარკასის განტკიცებასთან, დისციპლინის დამკვიდრებასთან, პოლიტიკური შეგნების დონის ამაღლებასთან. დღეს კი, თქვა მან, მიმდინარეობს საპირისპირო პროცესები: საზოგადოებაში, სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში ძლიერდება ნეგატიური ტენდენციები. აი რატომ არის ესოდენ აქტიური ცენტრალური ხელისუფლების გაძლიკცება, მისთვის ისეთი პეროგატივების მინიჭება, რომლებიც საშუალებას მოგვცემდა დროულად და ზუსტად წარვმართოთ და გავაკონტროლოთ საზოგადოებრივი გარდაქმნების პროცესები პოლიტიკური ცხოვრების ფორმების მზარდი მრავალფეროვნების პირობებში.

ამასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ყურადღება მიაპყრო კომუნისტური პარტიის ინიციატივებს, რომელიც გადასინჯავს სახელმწიფოს საქმიანობაში თავისი მონაწილეობის ფორმებს.

შეეხო რა ი. ხ. აფანასიევის გამოსვლის იმ ნაწილს, რომ ოპოზიცია აუცილებელია, დეპუტატმა თქვა, რომ არსებითად ოპოზიცია უკვე არსებობს. საქმე მხოლოდ ის არის, რომ მას შესაბამისი კანონიერი ფორმები მიენიჭოს. ბოლოს და ბოლოს, ვინ უშლის ხელს კომუნისტური პარტიიდან გასვლას და თავისი ორგანიზაციების შექმნას, რასაც, საკუთრივ, ითვალისწინებს წინადადებანი სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-6 და მე-7 მუხლების თაობაზე. რაც შეეხება მის მეურაცხმყოფელ გამოხდომებს, დე, ისინი ი. ნ. აფანასიევის სინდისზე იყოს, დასძინა ორატორმა.

რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ საჭიროდ ცნო, რომ ჩვენს ქვეყანაში იყოს ერთი ცენტრალური ხელისუფლება და, შესაბამისად, — ერთი პრეზიდენტის პოსტი.

შემდეგ ყრილობაზე შეიქმნა სარეფერენდიო კომისია.

შემდეგ გამოვიდა დეპუტატი **ბ. ბ. გუშანაევი** (გამოსვლა იბეჭდება მესამე გვერდზე).

სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტის შემოღების გადაწყვეტილება ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული გარდაქმნების ლოგიკით არის ნაკარნახევი, აღნიშნა დეპუტატმა **ვ. ი. მირონენკომ.** ჩვენ უკვე შევცდით, როდესაც გადავდეთ ახალი კონსტიტუციის შემუშავება და მიღება. ახლა ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადებასაც ვაყოვნებთ. არ შეიძლება გავჩერდეთ გადამწყვეტ მომეტბაში. ყრილობაზე უკვე გამოთქმულ არგუმენტებს ორატორმა დაუმატა მთელი რიგი მოსაზრებანი მართვა-გამგეობის საპრეზიდენტო ფორმის მხარდასაჭერად. კერძოდ, მან თქვა, რომ ვიცავთ რა პრეზიდენტობის იდეას, არ ღირს ყურადღების გამახვილება აღმასრულებელი ხელისუფლების გაძლიერებაზე. მისი აზრით, პრეზიდენტობის შემოღების მიზანშეწონილობა გამართლებულია როგორც ზოგადი, პერსპექტიული მოსაზრებებით, ისე დემოკრატიული გარდაქმნების გაღრმავებითა და დაჩქარებით.

დეპუტატმა თქვა, რომ იგი პრეზიდენტის საყოველთაო-სახალხო არჩევის თაოგამოდებული მომხრეა, ამასთან დამსწრეთ შესთავაზა მოიფიქონ, ხომ არ არის გამონაკლისის სახით წამოყენებული წინადადება — პირველი პრეზიდენტის სწორედ ყრილობაზე არჩევა—სერიოზული და მნიშვნელოვანი საპირწონე, ასეთ შემთხვევაში, თქვა მან, სახალხო დეპუტატთა ყრილობას, რომელსაც უფლება აქვს ორგორც მიიღოს ასეთი გადაწყვეტილება, ისე. გაიქმოს იგი კანონით დათქმულ შემთხვევებში, შეუძლია გახდეს დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც თავიდან აგვაცილებდა პრეზიდენტის ხელისუფლების როლის განუზომელ ზრდას სხვა ინსტიტუტების საზიანოდ.

დეპუტატმა **ი. ვ. დოროხოვმა** მოიყვანა ნობელის, იმ მეცნიერის სიტყვები, რომლის სახელიც ეწოდება ყველაზე ჰუმანურ პრემიას, — „ყოველგვარი დემოკრატია ნაძირალების დიქტატურით მთავრდებაო“. და გამოთქვა იმედი, რომ ეს სიტყვები არ გახდება წინასწარმეტყველური ჩვენი ქვეყნისათვის. დღეს, აღნიშნა მან, გარდაქმნის პროცესებს უპირისპირდებიან არა მარტო დოგმატიკური, არამედ აგრეთვე ექსტრემისტული ძალები. საოგანდმოვნენ რა საზოგადოებრივი უკმაყოფილებით, ისინი ცდილობენ ხელში ჩაიგდონ არაფორმალური, შემდეგ კი ფორმალური ლიდერობა. ექსტრემიზმი გვევლინება პოპულისტური სამოსლით, ცდილობს ხან მარცხენა, ხან კი მარჯვენა ფრაზით აიყოლიოს ბრბო. ექსტრემისტები ისწრაფვიან გათიშონ ჩვენი საზოგადოება. ეს განწყობილებანი გამოვლინდა პირველი და მეორე საარჩევნო კამპანიების დროს.

ვის შეუძლია დაამყაროს წესრიგი? უპასუხა რა ამ კითხვას, ორატორი დაწვრილებით შეეხო პრეზიდენტის ხელისუფლების შემოღების აუცილებლობას. მან გამოთქვა აზრი, რომ პრეზიდენტის პოსტის დაწესებით ჩვენ ვიჩენთ არა აჩქარებას, არამედ ჩამორჩენას. დეპუტატმა წინადადება წამოაყენა დაიხვეწოს პროექტის ძირითადი დებულებანი და მოუწოდა: გვეყო სჯა-ბაასი, მოდით ვიმუშაოთ.

დეპუტატმა **ნ. პ. შმელიოვმა** მტკიცედ დაუჭირა მხარი ქვეყანაში პრეზიდენტის ხელისუფლების დამყარებას. რთულ მრავალეროვან ქვეყანას, თქმა მან, სჭირდება მთელი ხალხის მიერ არჩეული უზენაესი არბიტრი. ჩვენ სულ უფრო ძეტად ვგრძნობთ სიმტკიცეს, პოლიტიკური ნებისყოფის, ხელისუფლების ვაკუუმს ყველაზე მტკივნეულ სფეროში — ეკონომიკაში, სადაც მიმდინარეობს ნგრევის პროცესი იმ შეცდომების ზემოქმედებით, უკვე ახალ დროს რომ ჩავიდინეთ. ვთქვათ მწარე სიმართლე: ჩვენ ეკონომიკაში საგიჟეთი ავადმყოფობა ერია და ახლაც მისი კანონებით ვცხოვრობთ. და სანამ არ დავუბრუნდებით საღ აზრს, ნორმალურ ეკონომიკურ კანონებს, კრიზისს თავს ვერ დავაღწევთ.

მეცნიერმა გააკრიტიკა წინა ყრილობაზე მიღებული მთავრობის პროგრამა, რომელსაც გაუბედავი და ორჭოფული უწოდა. საჭიროა გასაქანი მიეცეს ეკონომიკური ცხოვრების ახალ ფორმებს, რომლებიც გაჭირვებით იკვალავენ გზას. პრეზიდენტის ვეტოკაცობა და ავტორიტეტი საჭიროა იმისათვის, რომ სასურსათო გაწერისაგან გადავიდეთ სასურსათო გადასახადზე, ბოლო მოვუღოთ „საპყარ“ მეურნეობათა ხელოვნურ მხარდაჭერას, გავათავისუფლოთ სოფელი ბატონყმობის ნაშთებისაგან. დეპუტატმა თქვა, რომ არ ეთანხმება მთავრობის ორჭოფულ პოზიციას კოოპერაციის, საკუთრების მიმართ. ჩვენ ვერ გავალთ ფონს, თუ არ მივმართავთ არაპოპულარულ, მაგრამ აუცილებელ ღონისძიებებს, ფასებისა და ფინანსების რეფორმებს, თქვა დასასრულ ორატორმა. ვიმედოვნებ, რომ პრეზიდენტობა გაბედულ მიდგომას გამოიჩენს.

დეპუტატმა **მ. ი. იბრაგიმოვმა** მხარი დაუჭირა ყრილობაზე გამოსულთ, ვინც საჭიროდ ცნობს სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტის დაწესებას და იწონებს ამ საკითხზე კანონპროექტის ძირითად დებულებებს. გარდაქმნის გზაზე დადგარი ქვეყანა, თქვა მან, დიდმნიშვნელოვან მიჯნას მიუახლოდა. რეალობად იქცევა პარტიის ხელისუფლების საბჭოებისათვის გადაცემა, იზრდება ფართო მასების პოლიტიზაცია, მაგრამ აშკარაა მეორე გარემოებაც. გახშირდა დესტრუქციული ძალების ცდები მომალონ ქვეყნის ცხოვრების ნორმალური რიტმი, ჩაუსახონ ადამიანებს გაუბედობისა და შიშის გრძნობა.

ქვეყნის პრეზიდენტის პოსტის დაწესება, ხაზი გაუსვა ორატორმა, მნიშვნელოვანი ნაბიჯია ხელისუფლების, კერძოდ, აღმასრულებელი ხელისუფლების აკონტროლებლ ინსტიტუტის ამაღლების გზაზე. იგი უდავოდ დაიჩქარებს გარდაქმნის პროცესებს, დაიწნეხურებს ეკონომიკის განვითარებას, საზოგადოების დემოკრატიზაციას და ჰუმანიზაციას. დამატებითი იმპულსი მიეცემება აგრეთვე საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების დანაწილებას.

დეპუტატის აზრით, წარმოდგენილი კანონპროექტის ცალკეული დებულებანი დასაზუსტებელია. საჭიროა საგულდაგულოდ მივუდგეთ ფედერაციის საბჭოსა და პრეზიდენტის საბჭოს კომპეტენციის, საქმიანობის წესისა და ფორმების განსაზღვრას.

როგორც დეპუტატ **ს. ი. ბატიშევს** მიაჩნია, პრეზიდენტობა უდავოდ გაზრდის ქვეყანაში სახელმწიფო მართვა-გამგეობის პრესტიჟს. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს დღეს პრაქტიკულად არ მოეპოვება რეალური ძალაუფლება.

შეეხო რა დღესდღეობით დამკვიდრებულ ხელისუფლების სტრუქტურას, ორატორმა აღნიშნა მისი ფუნქციური უდღეურობა და წინააღმდეგობრივობა, მაგალითად, საკანონმდებლო მოღვაწეობას ეწევიან უმაღლესი საბჭოც და სახალხო დეპუტატთა ყრილობაც. ამავე დროს, მას მიაჩნია, რომ შემოთავაზებული პრეზიდენტის მართვა-გამგეობა არცთუ დიდად ამარტივებს დამკვიდრებულ სტრუქტურებს. პირიქით, დამატებით დასახულია დამტკიცდეს პრეზიდენტის პოსტი, ფედერაციის საბჭო, პრეზიდენტის საბჭო. მეტისმეტად ხომ არ ვეტვით ისეთი სტრუქტურების შექმნას, რომლებზეც შემდეგ იოლად ვიღებთ ხოლმე ხელს? — მიმართა დამსწრეთ რიტორიკული კითხვით დეპუტატმა. მეცნიერის აზრით, უნდა დაზუსტდეს პრეზიდენტის ხელისუფლების მექანიზმი, რათა გვქონდეს საიმედო გარანტიები, რომლებიც ტოტალიტარიზმის რეციდივებისაგან დაგვიცავენ.

ამის შესახებ მსჯელობაში, რომ პრეზიდენტობის ინსტიტუტის შემოღება თავისებური საგანგებო ღონისძიებაა, რომელიც ქვეყანაში შექმნილმა კრიზისულმა სიტუაციამ გამოიწვია, არის ჭეშმარიტების მარცვალი, თქვა დეპუტატმა **ვ. ა. მედვედევმა.** ეს ნაბიჯი აუცილებელია მნიშვნელოვანი ოპერატიული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად, რომელთა მიზანია ნეგატიური პროცესების ესკალაციის თავიდან აცილება. თავი უნდა დავაღწიოთ მმართველობის ალიაქოთისა და მერყეობას, რომელიც უკვე ხელისუფლების დამბლად მონათლეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ხაზგასმით აღნიშნა: ყრილობაზე ერთდროულად ორი საკითხის განხილვა — პრეზიდენტობის შემოღება და კონსტიტუციის მე-6 და მე-7 მუხლების შეცვლა — შემთხვევითი როდია. თუ არ შეიქმნა ძლიერი და ქმედითუნარიანი სპრეზიდენტო ხელისუფლება, თავის ახლანდელ ფუნქციებზე პარტიის უარის თქმას შეიძლება ანარქია მოჰყვეს.

ორატორი არ დაეთანხმა იმათ, ვინც ვარაუდობს, რომ პარტია უნდა შემოიფარგლოს ზედაპირული საპარლამენტო საქმიანობით და ლაბის მოახდინოს თვითოლიკვიდაცია, ამასთან ხაზგასმით აღნიშნა: პარტიისაგან ძალაუფლების სახელმწიფოსათვის გადაცემა ტაქტიკური მანევრი კი არა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის ძირითადი გეზია. ალბათ, არ უნდა შეგვეშინდეს, მისი აზრით, იმისაც, რომ პრეზიდენტი — პარტიის ლიდერი ხელფეხშეკრული იქნება პარტიული დისციპლინით. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი დარწმუნებულია, რომ პარტიული ლიდერის როლის შერწყმა. სახელმწიფოს მეთაურის პოსტთან არათუ მიზანშეწონილია, არამედ აუცილებელიც არის ახლანდელ პირობებში.

დასასრულ მან ყურადღება დაუთმო პარტიის იმ კრიტიკოსთა ქცევის თავისებურებებს, რომლებიც ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ პირზე დუქმოკიდებულნი მოითხოვდნენ პრეზიდენტობას, დღეს კი ასევე კატეგორიულად უარყოფენ ამ იდეას. ეს პარადოქსი, მისი თქმით, მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოპონენტებს არა აქვთ კონსტრუქციული საწყისი.

დეპუტატმა **ვ. ი. გოლდანსკომ** მაშინვე განაპირობა თავისი გამოსვლის მიმართულება და განაცხადა, რომ ილაპარაკებს სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტის დაფუძნებაზე, მხედველ ობ ა ში იყოლიებს რა კონკრეტულად მ. ს. გორბაჩოვს, რომელიც ამჟამად ერთადერთ რეალურ კანდიდატად მიაჩნიათ.

უეჭველია, განაგრძო მან, პრეზიდენტობის შესახებ კანონის არა მარტო უაღრესად მომწიფებული, არამედ გადაწყვეტილი აქტუალურობაც. რა თქმა უნდა, უმჯობესი იქნებოდა, პრეზიდენტი აგვერჩია საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, როგორც შემოთავაზებულია კიდევ ვიმოქმედოთ შემდგომში. მაგრამ ახლა ამისთვის უბრალოდ დრო არ არის. საქმე ეხება, როგორც ხატოვნად თქვა დეპუტატმა, სასწრაფო რეანიმაციას, და არა სანატორიულ მკურნალობას.

უაზრო უწოდა მან ვარაუდებს იმის შესახებ, რომ პრეზიდენტის პოსტის შექმნა თითქოსდა განპირობებული იყოს აბსოლუტური პირადი ძალაუფლებისადმი გორბაჩოვის მისწრაფებით. ძველი საზომებით მან იგი ზუსტად ხუთი წლის წინათ მიიღო, როცა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი გახდა. აბსურდულია საეჭვო გავხადოთ ის, რომ, მიუძღვნა რა მთელი თავისი ცხოვრება ამ ხნის მანძილზე ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული სისტემის მსხვრევას, რომელშიც ქვეყნის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი იყო პარტიული ზედაფენა, მ. ს. გორბაჩოვს ახლა, თითქოსდა, გადაეწყვიტოს ხელთ იგდოს ძალაუფლება.

დეპუტატმა წამოაყენა განსახილველი კანონპროექტის მთელი რიგი შესწორებანი.

არ უნდა დავივიწყოთ, თქვა დეპუტატმა **ე. ი. სალაევმა,** რომ ჩვენ ვცხოვრობთ საკავშირო სახელმწიფოში, რომელიც შედგება სუვერენული რესპუბლიკებისაგან. აღმასრულებელი ხელისუფლების სფეროში მათი უფლებების დაცვა უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო გარანტიებით. სწორედ ამ პოზიციებიდან კანონპროექტის მთელი რიგი შენიშვნები და დამატებები შესთავაზა აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა.

მისი აზრით, კანონპროექტი პრეზიდენტს ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას კანონშემოქმედებითი საქმიანობის სფეროში. შემოთავაზებული მექანიზმი, მისი აზრით, უსაფუძვლოდ აკნინებს საბჭოთა პარლამენტის როლს.

უფრო ზუსტად უნდა იყოს ჩამოყალიბებული პუნქტი, თქვა შემდეგ დეპუტატმა, რომელშიც ლაპარაკია სამხედრო ან საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ.

დაიმოწმა რა ის, რომ ბაქოში საგანგებო წესების შემოღების საკითხი აზერბაიჯანის სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს არ განუხილავს, ორატორმა დაკონკრეტებით მოითხოვა, რომ კანონპროექტში ზუსტად იყოს დფიქსირებული: საგანგებო წესებს სსრ კავშირის პრეზიდენტი აცხადებს შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თანხმობით.

გვქირდება განახლებული საკავშირო ხელშეკრულება, საჭიროა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ფუნქციათა ახალი, ზუსტი რეგლამენტაცია, თქვა დასასრულ დეპუტატმა. მხოლოდ ამ ფუძემდებლური საკითხების გადაწყვეტის შემდეგ შეიძლება სერიოზულად ვილაპარაკოთ იმაზე, რა ფუნქციებ[illegible] დობთ სსრ კავშირის პრ[illegible] და მისი საქმიანობის, ერთმანეთ[illegible] თვლობის რა შეიძ[illegible] ყენებთ.

ბიბლიოთეკა

დეპუტატმა **ა. ა. ბაბაევმა** ბევრი დაუჭირა იმას, რომ დაუძველ სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტი. მაგრამ, მისი აზრით, მეთანხმდნენ თავმჯდომარის რეკომენდაციაზე: მისცენ სიტყვა უკვე გამოცხადებულ ორატორს, ხოლო 13 მარტს დილით განსახილველად ... 11 საკანონმდებლო [illegible] ... ფესი.

შემდეგ გამოსულმა დეპუტატმა **ე. ი. პოდოლიანსკამ** აღნიშნა, რომ შექმნილი ვითარება მოითხოვს დაუყოვნებლივ კარდინალურ გადაწყვეტილებებს წესრიგის დამყარების, ეკონომიკაში საქმის გაუმჯობესების შესახებ.

სწორედ ასეთი ვითარებაში გვჭირდება პრეზიდენტის ძალაუფლება.

თავის მრავალი წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით, კოლეგა ურნეო